ყოველკვირეული საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტ. გაზეთი

№ 19 28 სექტემბერი 1908 წ. ფასი 10 კ.

შინაარსი: პოლიტიკური ბალღები.—სად არის სიმართლე?—სქელი ღრუბელი (ლექსი), **გ. ტაბიძისა.**—ჟურნალგაზეთებიდან.—სხვა და სხვა ამბები—ჩვენში. — ოსმალეთი.—სპარსეთი.—გუბაზაულო! (ლექსი), **გრ. ცენტერაძისი.**—მაღალს წრეში (პიესა), **განისა.**—წერილი მოსკოვიდან, **ივ—იძისა.**—უმაღლესი სასწავლებლის მდგომარეობა, **ს. კანდისა.**—ქუთაისის ქრონიკა. — ფოთის ამბები.—მუშათა შორის.—წერილი ქართველ საზოგადოებას, Artemus-ისა.—მალშინის მაზრა.—ბანცხადებანი.

რედაქციისაგან:

„ჩვენი კვალი“-ს 23 ნომრიდან“ დაიწყება ბეკდვა ცნობილ ავტორის **ლეონიდ ანდრეევის** პიესის

„მეფე შიმშილი“-სა

თარგმანი ქ-ნი **განდეგილისა.**



პოლიტიკური ბალღები.

გაზ. „ეკალი“ ბეჯითათ ჰჩხრეკავს ჩვენი ორგანოს ფურცლებს, რათა აქ აღმოაჩინოს რიგორმე ისეთი საბუთები, რომელნიც დაამტკიცებდენ ჩვენს „მწვალებლობას“ (ერეტიკოსობას), ჩვენს აშკარა განზრახვას — პარტიის ცხე-სიმაგრე „ორტოდოქსისა“ დავარღვიოთ და საბოლოოთ შევმუსროთ. და რადგან არავითარი ამის მზგავსი საბუთები ჩვენს ნაწერებში არ იპოვება, ამიტომ „ეკალისტებს“ გადაუწყვეტიათ თავის ლაღი ფანტაზია

მოიშველიონ და ასე შეხანხლონ საჭირო არგუმენტები. რაკი ნებით არა ხერხდება, ისინი ძალით გვერეკებიან გერმანელ რევიზიონისტების ბანაკში. მაგრამ რევიზიონისტები, ავათ თუ კარგათ, დღეს ისევ სოც.-დემოკრატიულ პარტიაში იმყოფებიან და ჩვენ „გარევიზიონისტობა“ კიდევ საესებით ვერ დაგვცემდა მუშათა მასსის თვალში. ამიტომ გაზ. „ეკალი“ ეხლა გვისტუმრებს ვერნერ ზომბარტთან, რომელსაც მარქსისტულ მოძღვრებაში მართლაც შეაქვს „შესწორება“; იგი „კლასთა ბრძოლის პრინციპს“ მართლაც უტოლოლიალებს ნაციათა ბრძოლის პრინციპს, როგორც პირველის სწორ-უფლებიან „ისტორიულ ფაქტორს“. ჩვენი შმაგ მორეული ამხანაგ-მოწინააღმდეგენი ამასაც აღარ ჯერდებიან და ბოლოს ყიჟინითა და ზეიმით პირსწორეთ გვერეკებიან იმპერიალისტ-ნაციონალისტებთან, ე. ი, ევროპიელ შავრაზმელთა ბანაკში და ზედ გვაყოლებენ ქვასა და ღორღს.

გაზ. „ეკალი“ თავის მე-21-ე №-ში პირდაპირ აცხადებს, რომ „ჩვენი კვალის“ ჯგუფი ამოძრავებულა იდუმალი განზრახვით „აუცილებლათ ოსმალეთ-სპარსეთის ქართული პროვინციები სახელმწიფოებრივათ შემოუერთოს“ საქართველოსო!.. და იმ შიშით, რომ გულუბრყვილო მკითხველმა არ იფიქროს, ვითომ „ჩვენს კვალს“ ეპოვნოს ისეთი რამ თილისმა, რომლის მეოხებითაც დასახელებულ საქმის განხორციელება შეიძლებოდეს მშვიდობიანი გზით, გაზ. „ეკალი“ აქედანვე გაფრთხილებას იძლევა: „რასაკვირველიაო—გრძნეული ჭკუით გვიმხელს იგი—ნება-ყოფლობით არავინ დაგვანებებს (იმ პროვინციებს), მაგრამ თუ კი ეს მუშათა საქმის წინსვლის აუცილებელი პირობაა, განა ამ კლასისთვის თავ-დადებულნი (რა ბრძანებაა, თავ-დადებულნი მხოლოთ და მარტო თქვენა ხართ? „ჩპ ვ.“) რკინასა და სისხლს მოერიდებიან?“ ამრიგათ, „ჩვენი კვალი“ თურმე „რკინასა და სისხლს“ მოუწოდებს საქართველოს სახელმწიფოს საზღვრების გასაფართოვებლათ!.. მკითხველი დაგვეთანხმება, რომ ყველა ამის თქმა, ჩვენს შესახებ მაინც, იგივე არის, რომ მთელ დღეს თქვენს სამუშაო ოთახში მჯდომს უცბათ თავს წამოგადგეთ ვიღაც ქუჩის მაწანწალა და უტიფრათ დაგჟყივლოთ: „წედან ქუჩაში ჯიბიდან საათი რათ ამომაცალეთო?!“

„ეკალის“ ასეთი ოინები გაბათილებას არ საჭიროებს. ამაზე ლაპარაკიც კი მეტია; მის მიერ წამოყენებულ „საბუთებს“ ჩვენის მხრით არავითარი კომენტარიები არ ესაჭიროება, მაგრამ ჩვენ მაინც გვინდა მასზე ცოტა ხნით შევჩეროთ მკითხველის ყურადღება, რათა საესებით გამოვამჟღავნოთ ჩვენი მოწინააღმდეგე ამხანაგების გონებრივ-ზნეობრივი ავლა-დიდება.

ჩვენს უკანა'კნელ მეთაურ წერილში სპარსეთისა და ოსმალეთის განმათავისუფლებელ მოძრაობის შესახებ აღვნიშნავდით, სხვათა შორის, იმ გარემოებას, რომ ხსენებულ ქვეყნებში პოლიტიკურ თავისუფლების დამყარება საძირკველს ჩაუყრის ჩვენს იქაურ ქართველ მოძმეებთან ნაციონალ-კულტურულ დაახლოვება-დაკავშირებას. ამაზე გაზ. „ეკალი“ განცვიფრებულა და გულუბრყვილოთ კითხულობს: „აქ ყოველ შემთხვევაში ერთი რამ ნათლათ არ არის ნათქვამი, ქართულ კაპიტალიზმზე როგორ უნდა იქონიოს გავლენა იმ ფაქტმა, რომ ქართველ მაჰმადიანებს სპარსეთ-ოსმალეთის პარლამენტში ექნებათ წარმომადგენლობა, ისინი ხომ მაინც სხვა სახელმწიფოში იქნებიან, ჩვენსა და მათ შორის სადამლონო კედელი იქნება? თუ შეიძლება ფერეიდანელი ქართველი თავის ერისადმი სიყვარულით აღგზნებული ორმაგ ფასს მისცემს ქართულ საქონელში სხვებთან შედარებით?“

ერთი გვიბრძანეთ, რა მოსატანია აქ ქართულ კაპიტალიზმის განვითარებისა და ქართულ საქონლის გაღებაზე მზრუნველობა, როდესაც ჩვენ ვწერდით მხოლოდ ნაციონალ—კულტურულ ურთიერთობაზე. მაგრამ, მოგეხსენებათ, „ეკალის“ პუბლიცისტები ეკონომიურ—მატერიალისტები არიან და კარგათ იციან, რომ არ უძღვის „ეკონომიკა“. ეკონომიური ფაქტორი—გვასწავლიან „ეკლელები“—უძლიერესია, ის თავის დაღს ასვამს ყველაფერს, „კვალელებმა“ კი (მოისმინეთ) ნაციონალურ—რასიული ფაქტორი ისეთ ძალათ გამოაცხადეს, რომელსაც პირიქით ძლიერი გავლენა აქვს ეკონომიურ ურთიერთობაზე საერთოთ და კერძოთ კაპიტალიზმზე.. „ჩვენიკვალი“ ცნობილ ზომბარტის დახმარებით „აღრმავებს“ მარქსიზმს“.. სწორეთ ოხუნჯი ხალხია ჩვენი „ეკლელები“. ესენი ნამდვილათ იმ აზრს გვაწერენ, ვითომ ჩვენ იდეური ურთიერთობა შესაძლებლათ მიგვაჩნდეს „ეკონომიკის“ გარეშე. მაგრამ ეს საკითხი თვით ზომბარტსაც არ ესმის. ამგვარათ. ჩვენი რწმენით კი, იდეოლოგიის მიუცილებელი ნიადაგი უეჭველათ არის „ეკონომიკა“ აღებულ შეთხვევაში სწორეთ კაპიტალიზმის განვითარება იძლევა ნაციონალ-კულტურულ აღორძინებას და საფუძველსა ჰქმნის მჭიდრო იდეიურ ურთიერთობისათვის; ერთხელ წარმოშობილი იდეოლოგია თუ კულტურული აღორძინება კი, თავის მხრივ, უკუქცევით, მოქმედებს „ეკონომიკის„ (ამ შემთხვევაში კაპიტალიზმის) განვითარებაზე. ასე ესმის ეს საკითხი თვით ორტოდოქსალურ მარქსიზმს; მაგრამ ასე არ ესმის „ეკალის“ პუბლიცისტს. მისი აზრით „ეკონომიკა“ თავის საშოდან პირდაპირ ისვრის სხვა და სხვა იდეებს, მთელ იდეოლოგიას; საკმაოა მაგ. გახსნათ ფაბრიკა, დადგათ მანქანები, რომ იქიდან უმალვე გამოხტეს სოციალ-დემოკრატიული იდეები. ერთი სიტყვით, ჩვენ ახირებულ პუბლიცისტს მარქსიზმი იმგვარათვე ესმის, როგორც სოც. ფედერალისტებს, და რასაკვირველია, არ. ჯ—შვილსაც სრული საბუთი ეძლევა „მექანიზმითა“ და „ფატალიზმით“ გვცემოს თავში.

რაკი ჩვენ უებრო მოკამათეს აგრე „მშვენივრათ“ ესმის მარქსიზმი, რაღა საკვირველია თუ იგი თვით ეკო-

ნომიურ დაახლოებასა და ურთიერთობას სხვანაირათ ვერ წარმოიდგენს „ეკ არ სახელმწიფოებრივ შემოერ-თების“ სახით. მათის აზრით, ნაციონალ-კულტურული დაახლოვება და დაკავშირება შეუძლებელია სახელმწიფოთა შორის, რადგან აქ თუ-ამე გარდაუვალი „სადამოენო კედლებია“ ამართული. ეს ვისაც „დახლოვება“ სურს იმან „რკინა და სისხლიც“ უნდა ისურვოსო. სწორეთ უცნაურია, ზოგიერთ ამხანაგებ., ვისაც ყოველ ცხვირის დაცემინებაზე პირზე აკერიათ კაპიტალიზმი, სავაჭრო ბაზარი, მრეწველობა, ბურჟუაზია და ს.ხ. დღევანდლამდე ვერ შეუგვნიათ, რომ ასეთ კედლები თანამედროვე ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა შორის არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს. კედლები ამართული იყო მხოლოთ საშუალო საუკუნოებში, ამას იწვევდა იმ დროინდელი ეკონომიური ვითარება, ბატონ-ყმურ ფეოდალური წეს-წყობილება. დღეს კი სულ სხვა ტიპის „ეკონომიკა“ გვაქვს. კაპიტალისტურ ვითარებაში კედლების ნაცვლათ არსებობს სადამოენო, სავაჭრო პოლიტიკა; ეს არის ერთი მთავარი ძარღვი თანამედროვე სახელმწიფოსი, კედელი კი ამ პოლიტიკის მოსპობა იქნებოდა. კაპიტალიზმისათვის კედლები ნიშნავს საშინელ ეკონომიურ კრიზისებს, ეკონომიურ დაცემას და სიკვდილს. რუსეთის რევოლიუციის ერთი ძირითადი მიზეზიც აქ იფარება. ბურჟუაზია ამხედრდა ძველი რეჟიმის წინააღმდეგ, რადგან მისი წადილია დაანგრიოს „კედლები“, ხელთ იგდოს სახელმწიფოს საქმეები და თვითონვე აწარმოვოს უფრო მოგებიანი და სარფიანი სავაჭრო და სამრეწველო პოლიტიკა. და აი, როცა რუსეთს, ოსმალეთსა და სპარსეთში დამყარდება ახალი პოლიტიკური წეს-წყობილება, ეს ძალუმათ ხელს შეუწყობს ამ ქვეყნებში კაპიტალიზმის განვითარებას. დაგვერწმუნეთ, ოსმალეთსა და სპარსეთში კაპიტალიზმი განვითარდება, თუნდაც ქართველმა ბურჟუაზიამ მათ ბოიკოტი გამოუცხადოს და ერთი კაპეიკის ღირალი საქონელი არ მიაწოდოს. მაგრამ ქართველი ბურჟუაზია არც ისეთი აბუეტი იქნება, რომ თავის საკუთარ ინტერესების წინააღმდეგ წავიდეს; არა, ის თვითონვე მოახერხებს სავაჭრო-სამრეწველო ურთიერთობა დაიჭიროს, როგორც სპარსეთსა და ოსმალეთთან, ისე სხვა ქვეყნებთანაც. ამაზე თქვენ ნუ იდარდებთ. და ან კი როდის აქეთ არის, რომ სოციალდემოკრატია თავის თავზე იღებს კაპიტალიზმის ხელის შეწყობას?.. არა, კაპიტალის გასუქება-გაპოხიერებას თვითონ კაპიტალისტებიც შეიძლებენ, ქართული საქონლის გასაღებაც ქართველ სოც.-დემოკრატების თავ.-სატეხი საკითხი არ არის. ჩვენ საკმაო საკუთარი საქმე გვაქვს. ეს არის მუშა ხალხის კლასიური გათვითცნობიერება, და აი სწორეთ ამ თვალსაზრისით განვსჯვრეტდით ჩვენ სპარსეთ-ოსმალეთის და რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობას. ახალი პოლიტიკური პირობები და მისი მეოხებით განვითარებული კაპიტალიზმი ხელსაყრელ ვითარებას იძლევა ამ ქვეყნების მუშათა მოძრაობის განსავითარებლათ. ეს ნიშნავს მთელ საერთაშორისო პროლეტარიატის ლაშქარის გამძლავრებას, საზოგადოთ და ქართველ მუშა ხალხის საქმის ფრთა შესხმულ წინმსვლელობას, კერძოთ, რადგან ამ ხალხს, ემატება ახალი ძალა, სხვათა შორის, სპარსეთის და ქართველ თანამოძმეების სახით. აი ამიტომაც ვეალერსებით ჩვენ ამ ბრწყინვალე მომავალს და შევტრფით სპარსეთის, ოსმალეთისა და რუსეთის განთავისუფლებას.

შეიძლება ჩვენი ნათქვამი კიდევ გაუგებარი იყოს „ეკალის“ პუბლიცისტისათვის. ამიტომ აეხსნათ კიდევ კონკრეტულათ, მაგალითათ წარმოიდგინეთ სპარსეთში, ოსმალეთში კაპიტალიზმი უკვე განვითარებულა საქმოთ, ეს, თქმა არ უნდა, გამოიწვევს აქ სოციალისტურ პარტიების შექმნასა და განვითარებას. იქ გაჩნდება სტამბა, გაზეთი, წიგნი, ჟურნალი. ქართველ ამხანაგებისაგან იქ ხშირათ დაიბეჭდება ისეთი რამ, რის წაკითხვაც დიდათ სასარგებლო იქნება საქართველოს მუშა ხალხისთვისაც და შეიძლება—შვენ შორის კი დარჩეს—ქართველ ს.-დ. ინტელიგენტისთვისაც. აგრეთვე ჩვენშიაც დაიბეჭდება ბევრი რამ მათთვისაც სასარგებლო. ეს გამოიწვევს წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთობის ურთიერთ შორის გაცვლა-გამოცვლას, იდეურ აღებ-მიცემობას, იდეურ ურთიერთობასა და დაკავშირებას.

დიახ, ასე სპარსეთსა და ოსმალეთში ახალ წყობილების შემოღება, კაპატალიზმის განვითარება მოასწავებს ჩვენსა და იმ ქვეყნებში მზგავს სოციალ-ეკონომიურ ვითარების დამყარებას. ამ ნიადაგზე ჩნდება ძლიერი იდეიური ურთიერთობა და ზე-გავლენა. ნაციები ერთმანეთს უახლოვდებიან კულტურულათაც, ხოლო ერთ და იმავე ნაციის სხვა და სხვა ნაწილები, როგორც შიგნით, ისე გარეთ—სახელმწიფოთა საზღვრების გაღმა-გამოღმა—მჭიდროთ უკავშირდებიან ნაც.-კულტურულათ. ეს ნიშნავს კერძოთ მთელ ქართველ ნაციის აღორძინებას და აგრეთვე ქართველ მუშა ხალხის კულტურულათ ამაღლებას და ქართველ მუშათა საქმის წინწაწევას. ხომ გასაგებია, „ეკალის“ პუბლიცისტებო? აი, ამასვე ვწერდით ჩვენს წინა მეთაურში. შეგნებულ სოც. დემოკრატისათვის აქ არაფერია სადაო და საკამათო. ეს ნათელი ჭეშმარიტებაა, ეს ელემენტარული ცნობაა, ეს არის ანი... ეს არის ბანი... ისწავლეთ, „ეკალის“ ჩვენო პატარა ამხანაგებო!

სად არის სიმართლე?

I

მარქსისტული მსოფლმხედველობა, მოგეხსენებათ, არსებითათ განსხვავდება იდეალისტურ-სუბიექტივურ მსოფლმხედველობისაგან. ამ უკანასკნელის მიხედვით, როგორც იცით, ისტორიის შემომქმედია აზრი, იდეა. კაცობრიობის წინმსვლელობა-განვითარებას აწარმოებს აზრის განვითარება; და ამ პროცესის აგენტი თუ შემოქმედი არის საღი მსჯელობის მქონე, შორს მჭვრეტელი გონების პატრონი ადამიანი ანუ კრიტიკულათ

მოაზროვნე პიროვნება. იდეალისტურ ფილოსოფიის ლოგიკური დასკვნაა, ასე წოდებული, „გმირების თეორია“ ანუ „პიროვნების კულტი“, ძლიერ პიროვნებათა გაღმერთება. ამ მოძღვრების მიმდევართათვის ხალხი უმწეო ბრბოა, ცხვრის ფარაა და მისი ბუნებრივი მწყემსი თუ წინამძღვარი და ბელადი არის ძლიერი პიროვნება, გმირი. ამას შეუძლიან ხალხი ან სამოთხეში შეიყვანოს და ან კლდეზე გადასჩეხოს. ცხოვრება თიხაა, საიდანაც არტისტი მეჭანდაკე—ამ შემთხვევაში გმირი—მოღვაწე—ისეთ ქანდაკებას (წეს-წყობილებას) აკეთებს, როგორსაც მას უკარნახებს მისი ნიჭი, უნარი და ზე-შთაგონება.

სრულიად წინააღმდეგს გვასწავლის მარქსისტული მოძღვრება. მარქსიზმი აღიარებს, რომ იდეაცა და პიროვნებაც ნაყოფია გარშემორტყმულ ცხოვრების პირობებისა. იდეა, აზრი არის ადამიანის გონებაში აღბეჭდილი სურათი, გამოხატულება გარეშე საგნებისა და მათ შორის არსებულ ურთიერთობისა. მარქსიზმი კაცობრიობის განვითარების უკანასკნელ ახსნას ეძებს ცხოვრების ნივთიერ პირობებში. მისთვის ისტორიის შემოქმედი, კაცობრიობის განვითარების მამოძრავებელი ძალა, საბოლოო ანგარიშით, არის საწარმოო ძალთა ვითარება. ამ ძალას ამუშავებს არა ესა თუ ის პიროვნება ანუ პიროვნებათა რომელიმე კერძო ჯგუფი, არამედ მთელი ხალხის მასსა. ცალკე პიროვნებას თუ იდეას ანუ იდეიურ მიმდინარეობას ცხოვრებაში იმდენათა აქვთ მნიშვნელობა, რამდენადაც ეგინი სისწორით გამოხატვენ ცხოვრების ნამდვილ, რეალურ მიმდინარეობას. პიროვნება დიდათ მნიშვნელოვანი და ძლიერია თუ მან ნათლად შეიგნო ცხოვრების შინაგანი მიმართულება და მას შეუფარდა თავისი მოქმედება; მაგრამ ეგი უღონოა, ეგი ცხოვრების ზღვაზე მოტივტივებული უმნიშვნელო ნაფოტია, უკეთუ ვერ შეიგნო აღნიშნული მიმდინარეობა და მოიწადინა მის წინააღმდეგ წასვლა. და რადგან აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა, პიროვნების მთელი როლი ისტორიაში იმით განისაზღვრება, რომ მან—თუ კი ის შეგნებული და, მაშასადამე, ძლიერი პიროვნებაა—დაიჭაროს და შეამოკლოს საზოგადოებრივ ორსულობის ხანა და მით შეამსუბუქოს მშობიარობის ტკივილები—როგორც ამბობს კარლ მარქსი.

ასეთი გახლავთ დედა-აზრები, პრინციპები, მაგრამ ერთია პრინციპი და მეორეა ამ პრინციპის ლოგიკურათ გატარება აზროვნებასა და მოქმედებაში. იდეალისტურ-სუბიექტივურმა მსოფლ-მხედველობამ, რომელიც რუსეთში ბატონობდა მე-80-ცე წლებამდე, თვისი შესანიშნავი გამოხატულება ჰპოვა ცნობილ მიმდინარეობაში, „ნაროდნიჩესტვოში“ (ვიგულისხმებთ აგრეთვე „ნაროდოვოლჩესტვოს“). დღეს ამ მიმდინარეობის დაჩაჩანაკებული მემკვიდრენი ანუ „დუშეპრიკაშჩიკები“ არიან სოციალისტ-რევოლიუციონერები, რუსეთში და სოციალისტ-ფედერალისტები—ჩვენში. ხოლო მატერიალისტურ ანუ მარქსისტულ მსოფლმხედველობის მებაირაღტრე იმ თავიდანვე, როგორც საზღვარგარეთ, ისე რუსეთსა და ჩვენში, არის სოციალდემოკრატია. მაგრამ საქმე ის არის, რომ ცხოვრებაში ამ მიმდინარეობათა მსვლელობა ისე წმინდათ და ისეთ სწორე ხაზზე არა სწარმოებს, როგორც ეს შესაძლებელია წარმოვიდგინოთ თეორიაში. სოც. რევოლიუციონერები და სოც. ფედერალისტები ხშირათ, კერძო შემთხვევაში, გადადიან ხოლმე მარქსისტულ თვალთა ხედვის წერტილზე და პრაქტიკაშიაც იმავ კერძო შემთხვევისათვის უახლოვდებიან ანუ სულაც უერთდებიან ხოლმე სოციალდემოკრატიას. ასე, მაგ., ეგინი მარქსისტებისაგან სესხულობენ კლასთა ბრძოლის პრინციპს, თუმცა, რასაკვირველია, ამ პრინციპს ეგინი ლოგიკურათ ბოლომდის ვერ ატარებენ ვერც აზროვნებაში და ვერც პრაქტიკაში. თავის მხრივ, სოციალდემოკრატებსაც ზოგჯერ ფეხი უსხლტებათ ხოლმე მატერიალისტურ პოზიციიდან და იწყებენ ნავარდობას მათვის შეუფერებელ იდეალიზმის მოლაჟვარდებულ სივრცეში. ჩვენ აქ გვაინტერესებს სწორეთ ეს უკანასკნელი მოვლენა სოც. დემოკრატების ცხოვრებიდან და ესეც მხოლოთ იმდენათ, რამდენადაც საჭიროა ჩვენ მიერ ამ წერილში დასახულ განსაკუთრებულ მიზნისათვის.

ამხანაგები არა მარტო განკერძოებით, არამედ აგრეთვე მთელ ჯგუფებათ, დას-დასობით, უთავბოლოთ დაეხეტებიან მატერიალიზმიდან იდეალიზმისაკენ და უკუღმაც, იდეალიზმიდან კვლავ მატერიალიზმისაკენ. ამის მაგალითებს მრავლათ იძლევა რუსეთის სოციალ-დემოკრატიის განვითარების ისტორია. ამ რამდენისამე წლის წინათ, რევოლიუციის დაწყებაზე ბევრით ადრე, აქ გაჩნდა ორი მიმდინარეობა—„ეკონომიზმი“ და „პოლიტიკიზმი“—რაიც კარგათ ასურათებს ჩვენ მიერ აღნიშნულ მოვლენას, რომელსაც, თქმა არ უნდა, თავისი საკმაო და საპატიო მიზეზები აქვს. საქმე ასე გახლდათ. როდესაც სოკ. დემოკრატიული ჯგუფი პირველათ გაჩნდა რუსეთში, აქ ისეთი პოლიტიკური პირობები სუფევდა, რომ ნ მდვილ პოლიტიკურ მოღვაწეობასა და სოციალდემოკრატიულ პრაქტიკაზე ფიქრიც კი ამაოცნება იყო. პარტიული მოღვაწენი იძულებულნი იყვნე მთელი თავისი მუშაობა შემოეფარგლათ ვიწრო პატარ-პატარა, ნ-დე კაცისაგან შემდგარ წრეებში მოქმედებით; და რაც უფრო საგულისხმოა, ამ წრეებში ისე ფართეთ იყო მეცადინეობა დაყენებული, რომ ასტრონომიასაც კი არ ივიწყებდნენ ხოლმე. მიზნათ ისახავდენ ღრმათ, საფუძვლიანათ განსწავლულ-განათლებულ ადამიანების აღზრდას, საუკეთესო და ძლიერ პიროვნებათა შექმნას. ასეთი მუშაობა, ასეთი მიზნების დაყენება, დამეთანხმებით, პირდაპირი საქმეა იდეალისტებისათვის, საზოგადოთ, ტოლსტოის მიმდევართათვის, სხვათაშორის; ტოლსტოიზმი ხომ ბუნებრივი ნაყოფია, აღმოცენებული რუსეთის მწირ და ხრიოკ ნიადაგიდან, შეხუთულსა და ბნელ ატმოსფერაში. აკი ყველა ჯურის იდეალიზმი ქვეყნიერობის გადამბრუნებელ ბერკეტათ

ალიარებს ცალკე, რჩეულ პიროვნებათ, რისთვისაც მიზნათ ისახავს საუკეთესო და ძლიერ პიროვნებათა შექმნას და ამის საშუალებათ, რა თქმა უნდა, სცნობს პიროვნების თვით გაუმჯობესებას (самоусовершенствованіе личности) არსებითად, აი ამ საქმეს აკეთებდენ ნაროდნიკები და ნაროდოვოლცები, და მიუხედავათ იმისა, რომ მარქსიზმის მთელი შინაარსი მკაფიოთ ჩაგვიჩიჩინებს საუკეთესო, ძლიერ და იდეალურ პიროვნებათა შასაქმნელათ უმალ საჭიროა თვით სოციალურ პირობების გადაბრუნებაო,—რომ საზოგადოებრივ მოღვაწის უპირველესი საზრუნავი საგანი უნდა იყოს ხალხის მასსა და სახალხო მოძრაობაო, მიუხედავათ ამისა, პირველი მარქსისტები მაინც იმავ „იდეალისტურ“ საქმეს ჩაჰკირკიტებდენ.

გადიოდა წელიწადები, მრავალი წელიწადები (პირველი სოც. დემოკრატიული ჯგუფი რუსეთში გაჩნდა დაახლოვებით 1886-წელს) და სულის შემხუთავი გარემოებანი მაინც არ იცვლებოდა, სოციალდემოკრატებიც იმავ სიზიფისებურ მუშაობაზე იყვენ მიჩერებული. ბოლოს ამხანაგების ერთ ნაწილს მოთმინების ფიალა ავსო და გადასწყვიტეს ტაქტიკის შეცვლა სახალხო მოძრაობის გამოსაწვევად, მუშათა მასსის დასარაზმავათ. მაგრამ შეუგნებელ, დაბეჩავებულ მუშათა მასსისთვის სოციალ—პოლიტიკური თეორიები, ცხადია, სრულიად მიუწდომელი იქნებოდა, მისთვის გასაგები იყო მხოლოთ ლუკმა პურის ამბავი, ყოველ დღიური ცხოვრება, ხაზეინებიან დამოკიდებულება ფაბრიკებსა და ქარხნებში. დაბეჩავებულ მასსისთვის ძალიან ნაკლებათ იყო საინტერესო სოციალიზმი და პოლიტიკა, მას არც მონარქია ეუბნებოდა ბევრს რასმე და არც რესპუბლიკა. მისთვის მწვავე საზრუნავი საგანი ის იყო, რომ 16 საათის ნაცვლათ ნახევარ საათით მაინც ნაკლები ემუშავნა და რამდენიმე კაპეიკ ხელფასსზე თუნდ ორი კაპეიკი მაინც მოემატებინათ. და აი ხსენებული ამხანაგებიც იწყებენ შესაფერ ქადაგებას ყოველ-დღიურ, წვრილმან, ეკონომიურ მოთხოვნების გარშემო. ასე გაჩნდა რუსეთის სოციალდემოკრატიაში, ამ ათიოდე წლის წინათ, „ეკონომიზმი“. (იხ. рабочее дѣло—ს გამოცემანი და მათი ორგანიზაციის დანარჩენი ლიტერატურა). მაგრამ მალე აღმოჩნდა, რომ „ეკონომისტების“ მოქმედებაში სოციალიზმი დიოგენის ფარნით იყო საძებარი; აქ სოციალდემოკრატიის მიზნები და ტაქტიკა მალე ფუქსავატათ დაახურდავა „კაპეიკებზე“ მზრუნველობამ და მცირედენ, ნაწილ—ნაწილ პოლიტიკურ გაუმჯობესებაზე ფუტმა ოცნებამ. და მართლაც, წვრილმან ეკონომიურ მოთხოვნებისათვის ბრძოლა თამამათ შეიძლება აწარმოოს თვით ბურჟუაზიულ დემოკრატიამ. ტრედ-უნიონიზმიდან და საზოგადოთ, ნეიტრალურ პროფესიონალურ ორგანიზაციებიდან მუშათა პოლიტიკურ პარტიამდე ჯერკიდევ კარგა შორი მანძილი არის. გარდა ამისა, ბიუროკრატიულ თვითმპყრობელობის დროს რომ არავითარი პოლიტიკურ და მოქალაქობრივ უფლებათა ნაწილ-ნაწილობით მიღება*) არ არის შესაძლებელი, ამაზე ლაპარაკიც კი მეტია. აღნიშნულ პირობებში, ცხადია, არც მუშათა მდგომარეობის რაიმე თვალსაჩინო გაუმჯობესება იყო შესაძლებელი. მარქსისტულ პოზიციაზე მკვიდრათ მდგომ სოციალ-დემოკრატებისათვის მზიან დღესავით აშკარა შეიქმნა, რომ სანამ არ გადაწყდებოდა იმპერიის ძირითადი სახელმწიფო საკითხი, სანამ არ მოხდებოდა ძირითადი პოლიტიკური ცვლილება, იმ დრომდე დაბეჩავებულ ხალხის, მონათა ბრბოს ნაცვლათ ვერ აღიმართებოდენ ამაყ მოქალაქეთა ამაყი რაზმები, რომელნიც თვის მცირეოდენ უფლებათა შელახვასაც კი გმირულის თავ-განწირულებით ეკვეთებიან, აშკარა იყო, რომ იმ დრომდე სამარისებურ სიჩუმეს ვერ შესცვლიდა სიცოცხლის მოხარული მოჩუხჩუხე ცხოვრება.

მაშ პირველ გეგმაზე უნდა წამომდგარიყო საერთო, საიმპერიო ძირითადი პოლიტიკური საკითხი. ამ გოლიათურ საკითხის გადაწყვეტა, რა თქმა უნდა, მოითხოვდა გოლიათურ ლაშქარს, რომელსაც წინ წაუძღვებოდა ნათელი პოლიტიკური შეგნება და სწორეთ კლასიური შეგნება. ისტორიულათ რუსეთში კაპიტალიზმის განვითარება იმგვარი ხასიათისა იყო, რომ აქ თანამედროვე პოლიტიკურ წეს-წყობილებისათვის სახალხო მოძრაობის თაოსნობასა და მესვეურობას სხვა ვერავინ იტვირთებდა თუ არ პროლეტარიატი. სოც.-დემოკრატიისათვის აშკარა იყო, რომ „რუსეთში რევოლიუცია გაიმარჯვებდა როგორც მუშათა მოძრაობა და ან სულ ვერ გაიმარჯვებდა ვერასოდეს“, როგორც ეს ერთხელ იწინასწარმეტყველა პლეხანოვმა. და ეს წინასწარმეტყველება მართალიც იყო, არის და იქნება, რამდენიც უნდა ეცადენ მის გაბათილებას ჩვენებური დაუბუმბლავი ოპორტიუნისტები „ეკალიდან“ და მისიან გაზეთებიდან. ახალი ტაქტიკა პირველ გეგმაზე აყენებს იდეას, კლასიურ თვითცნობიერებას და ამ იდეის მატარებელ, კლასიურ შეგნებით ძლიერ პიროვნებას. ეხლა ამ პიროვნებათა, ამ მოწინავე ელემენტების შექმნა კვლავ უპირველეს საზრუნავ საგნათ გადაიქცა. ასე დაიბადა რუსეთის სოციალდემოკრატიაში მეორე მიმდინარეობა „პოლიტიციზმი“, რამაც იდეის და პიროვნების მნიშვნელობა ასწია მარქსიზმისათვის შეუსაბამო სიმაღლეზე და მასის მნიშვნელობა კი ერთიანათ დაჩრდილა. „პოლიტიკოსები“ ამტკიცებდენ, რომ მუშათა მასსა კლდეზე გადაიჩეხება, იგი, ყოველ შემთხვევაში, თავის კლასიურ გზას ვერასოდეს ვერ მიაგნებს, თუ ჩვენ,

*) კერძო პოლიტიკურ დათმობათა უფლებების ნაწილ—ნაწილობით მიღების შესაძლებლობაა ერთხელ იცავდა—რამოდენიმე ხნით ადრე ი-აზე, სანამ „ეკონომისტები“ შევიდოდენ როლში—იცავდა ნად პუტატარი ალადინი. იგი ამ აზრს, სხვათაშორის, ერთ საზღვარ გარეთულ კრებაზე ამტკიცებდა მეკრომეტყველურათ ინგლისის, ამერიკის და სხ. ქვეყნების მაგალითებით, რამაც იქ მყოფ პლეხანოვს მადლიანი მასალა მისცა საერთოთ უტოპისტ—რევოლიუციონერების „გასამათრახებლათ“.

ინტელიგენტები მას გარედან არ მივაშველებთ კლასიურ ცნობიერებასო. *) აქ ინტელიგენცია კვლავ გამოდის ხალხის ბუნებრივ აპეკუნად (მზრუნველად), ინტელიგენცია ხდება სინათლისა, სიკეთისა და სათნოების ჭურჭლათ, იგი ყოფილა მართალი ამა ქვეყნისა, ურომლისოთაც ხალხი თურმე უმწეოთ მიტოვებული ცხვრის ფარაა. ეს, როგორცა ჰხედავთ, ყდეალისტ-სუბიექტივისტების ნაცნობი სიმღერაა. ერთი სიტყვით, ჩვენი „პოლიტიკოსები“ თავს ჰყოფენ იდეალისტურ ფილოსოფიაში და მათი ახალი ტაქტიკაც ჰნიშნავდა ძველ ნაროდოვოლცების ტაქტიკის აღდგენას მხოლოდ შეუფერებელ სამოსელში, ნაროდნიკული ტაქტიკა გამოდიოდა მარქსიზმით შეშუპრული.

ამრიგათ, ჩვენ ვღებულობთ ასეთ სურათს. პირველი მიმდინარეობა („ეკონომიზმი“), რომელიც გამოიწვია „კრუეკოვშჩინამ“ (სოც.-დემოკრატების პირვანდელ, იდეალისტურ ეშხზე მოქმედებამ) სავსებით ეძლევა მასას და სრულიად ივიწყებს „იდეას“ და „პიროვნებას“, თითქოს მარქსიზმისათვის არც ერთსა და არც მეორეს აღარა ჰქონებოდეს არავითარი განსაკუთრებული მნიშვნელობა; მასიურ მოძრაობის შექმნაზე გადაგებულნი აღარ დაგიდევენ იმას, თუ როგორი იქნება ამ მასსის შედგენილობა და მისი შეგნების ღირებულება. საქმის ასე გაგება, რა თქმა უნდა, ს. დ. მოძღვრების უშნოულაზათო ვულგარიზაციაა, ეს მარქსიზმის დამახინჯებაა, ეს იდეალიზმის მოპირისპირე, მეორე უკიდურესობაა. როგორც რეაქცია, ამ მიმდინარეობისა ჩნდება „პოლიტიციზმი“, რომელიც, ნაცვლათ იმისა, რომ გაასწოროს გამრუდებული ხაზი მოქმედებისა, უკიდურესათა ჰხრის ამ ხაზს სწორეთ მოწინააღმდეგე მხარეზე, ე. ი. ერთიანათ ჰჩრდილავს მასის მნიშვნელობას და იდეალისტურ ჰანგზე გამოაქვს იდეის და პიროვნების მნიშვნელობა.

ასე ერთი უკიდურესობა მეორესა სცვლიდა და ამხანაგები უთავბოლოთ დაეხეტებოდენ მატერიალიზმიდან იდეალიზმისაკენ და უკუღმა. ამ ხეტიალს, რასა კვირველია, ყურადღებოთ ვერ დასტოვებდა შორს მჭვრეტელი და შესანიშნავ თეორეტიულ და პრაქტიკულ გონების პატრონი პლეხანოვი. მალე რუსეთის მარქსიზმის მამათ მთავარი აღნიშნულ მიმდინარეობათა ბრძოლის შუა გულში აღიმართება ბუმბერაზათ; მას მაღლა უპირავს მარქსიზმის აბრიბლებული მაშხალა და გამეხებული უძახის დაესაქსულ-მოხეტიალე ამხანაგებს:

„Vademecum!“ **) **„მომყევით მე“!..**

**) იხ. ლენინის ცნობილი წიგნი Что дѣлать?

*) იხ. მისი წიგნი ამ სათაურით („Vademecum!“ და სხვა მისი წაწერები რობორც „ეკონომისტების“ ისე ლენინისა და სხვა „პოლიტიკოსების“ წინააღმდეგ.

*
* *

სქელი ღურბელი,
შავი და ბნელი
სამშობლო მხარეს გადაეფარა,
სხივთა მფენელი
მზისა ნათელი
ჩვენ სანუგეშოდ სჩანდა აღარა.

მაგრამ რა გაჰკრა ელვამ სივრცეზე,
მიკლაკნ-მოკლაკნა მისი სხივები,
სამარადისოთ მე მომეჩვენენ
გარდმოვნელინნი ღვთით ნაპერწკლები.

—

ელვა მსწრაფლ გაჰქრა,
ისევ დაჰფარა
სამშობლო მხარე უკუნმა ბნელმა,
ისევ ცრემლი მდის,
ვტირ იმარადის,
გული წაიღო ისევ ნაღველმა!..

გალ. ტაბიძე.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

—:—

ჩვენი ამხანაგები „ეკალიდან“ დღემდე გულდასმით ეროდებიან ჩვენთან პირდაპირ შეკამათებას. ისინი არჩევენ ვიწრო ბილიკებითა და მიხვევ-მოხვეული გზებით ბრძოლას. მაგრამ ჩვენს წინააღმდეგ ატეხილ ამ საკეკემალულო კამპანიაში მათ ისტორიული ნემსზიდა ზოგჯერ მოუვლენს ხოლმე ისეთ სიურპრიზებს, რაიც მათვე უწყალოთა სცემს თავ-პირში.

გაზ. „ეკალში“ იბეჭდება საყურადღებო ფელეტონები ერთ პოლონელ ამხანაგის, З—скій-სა. ავტორი ორტოდოქსი (მართლმორწმუნე) მარქსისტია და ამასთანავე ჩაბმული არის პოლონეთის სოციალისტურ პარტიის (პ. პ. ს.) წინააღმდეგ ბრძოლაში. თავის თავათ ცხადია, რომ ის მიდრეკილი იქნება პ. პ. ს.-ის დაჯაბნება გადაამლაშოს და აი, მიუხედავათ ამისა, იგი მაინც იძულებულია შემდეგი აღიაროს:

„პ. პ. ს—ის მეტათ მავნე მიმართულებასთან. ბრძოლაში როზა ლიუქსენბურგმა, ცოტა არ იყოს, გადაამლაშა: მან უყურადღებოთ დასტოვა ის გარემოება, რომ ოლქობრივი თვითმართველობა საკმარისი არ არის პოლონეთის მატერიალურ და სულიერ საჭიროებათა ყოველმხრივ დასაკმაყოფილებლათ. ამ ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრება მეტის-მეტათ განსხვავდება დანარჩენ რუსეთისაგან...

... პოლონეთის სამოქალაქო კანონმდებლობა დამყარებულია ნაპოლეონ პირველის კოდექსზე. დასასრულ პოლონეთს აქვს მდიდარი თავისებური სულიერი კულტურა. ამის გამო მისთვის **აუცილებლათ საჭიროა ავტონომია, საჭიროა სეიმი, რომლის კომპეტენციას უნდა ექვემდებარებოდეს: სასკოლო საქმე, ადმინისტრაცია, მართლმსაჯულება; მისთვის აუცილებლათ საჭიროა დაცულ იქნას მისი სამოქალაქო კოდექსი.**

უნდა მოვახსენოთ გაზ. „ეკალს“, რომ... Mutato nomine... de te fabula narratur (მარტო სახელიუნდა შეიცვალოს და გამოვა, რომ აქ შენზე არის ნაამბობი!.) აღნიშნულ ფელეტონებში ნაამბობი კი ერთობ საგულისხმოა სწორეთ „ეკალისათვის“. ვურჩევთ ჩვენს ამხანაგებს „ეკლიდან“, კარგათ ჩაუკვირდენ ამას, გულდასმით გადაშინჯონ თავისი ძველი შეხედულება ეროვნულ საკითხზე, კარგათ გაითვალისწინონ როგორც სერიოზული მოსაზრებანი, ისე კიდევ მთელი ის აბდა-უბდა, რომელიც ჩვენს პრესაში იწერებოდა ავტონომიის წინააღმდეგ, და ბოლოს, ეჭვი არ არის, თვითონვე დარწმუნდებიან, რომ **чертъ не такъ страшенъ, какъ его малютъ** (ეშმაკი არც ისე საშიში არის, როგორც უნდათ მოგვაჩვენონ).

* * *

სომხურ ჟურნალ „ჰნჩაკის“ უკანასკნელ ნომერში დაბეჭდილია საყურადღებო წერილი, სადაც, სხვაია შორის, ვკითხულობთ:

„ჩვენის აზრით, ჰამიდის თვითმპყრობელობა შერყეულია, თუმც სრულათ არ არის დამარცხებული.

სასახლის კამარილლას, რომელსაც ოსმალეთის მონარქის მეთაურობით მთელი სახელმწიფო და იქ მცხოვრები სხვა-და-სხვა ერები დანგრევის, დაქსაქსვის და დაღუპვის გზაზე მიჰყავდა—უფლება შემოცლილი აქვს. ძველი ოსმალეთის ის ნაწილი, რომელსაც ავაზაკური ინსტინქტები და ფანატიზმი ჰქონდა დევიზ თ და ოსმალეთში მცხოვრებ ერების სამარის გამთხრელი იყო—აღარ არსებობს, აღარ არის ის ოფიციალური მთავრობა, რომელსაც **სომეხთა კითხვის** გადაჭრა უნდოდა სომეხ ერის სრულიად ამოწყვეტით. **ძველი** შენგრეულია, **ახალი** კი შექმნის ხანაშია და ამ პროცესის ბედეგი დამოკიდებულია იმაზე თუ როგორ მოიქცევიან ახალ მდგომარეობის ფაქტორები, როგორ ძალას და შრომის უნარს გამოიჩენენ. მაშასადმე ჩვენი დღევანდელი ხანა მეტათ დიდმნიშვნელოვანი და პასუხსაგები ისტორიული მომენტია. საქმის ახალმა მდგომარეობამ გაიჩინა „ახალგაზდა ოსმალნი“, რომელთაც ხელთ იგდეს ოსმალეთის სახელმწიფოს მმართველობა და გადაიქცენ სახელმწიფო პარტიათ, ვისაც მიზნათ დაუსახავს ოსმალეთის სახელმწიფოს და მასში მცხოვრებ ერების სვე-ბედის გადამჭელი გახდეს.

„ახალგაზდა ოსმალეთის“ სახელით მოლაპარაკე „ერთობისა და პროგრესის“ ორგანიზაცია პოლიტიკურ ფაქტორათ ხდება და ხელმძღვანელის როლში შედის ოსმალეთის ნაციონალიზმი, რასაც საფუძვლათ ედება **მიდჰატის კონსტიტუცია**. რაც ყოფილა 40—50 და 70 წლებში ნაციონალიტურ პარტიების მეფობა ევროპიულ ქვეყნებში, იგივე იქნება ოსმალურიც—ოსმალეთში.

რაც უნგრულ ნაციონალიზმის მეფობა იყო უნგრეთში მცხოვრებ ერებისათვის, იგივე არის ოსმალური ნაციონალიზმიც. თათართა ნაციონალიზმის გაძლიერებისათვის უფრო თავისუფალი პირობები, უფრო უკეთესი მდგომარეობა იყო საჭირო, ვინემ თვითმპყრობელობა. იგი დღეს ახალ პირობების შექმნის ეპოქაშია. ოსმალთა ნაციონალიზმი არა ოსმალელ ერებს, მისცემს იმდენ საშუალებას განვითარებისათვის, რამდენიც წინააღმდეგი არ იქნება მათ ნაციონალურ მისწრაფებათათვის...

ამათი გამეფება ოსმალეთში—ბურჟუაზიის გამეფებას ნიშნავს და ეს არის, რომ სისტემატიურათ ესწრაფვის ხელთ იგდოს სახელმწიფო კითხვების გადაჭრა, რა თქმა უნდა, თავის კლასიურ ინტერესების თანახმათ. ჰამიდის პიროვნული აბსოლიუტიზმი დამარცხებულია, მაგრამ მიდჰატის კონსტიტუციის გახსოვრიელებით აბსოლიუტიზმი, მონარქია და თეოკრატია საბოლოოთ არ არის დამხვრეული.

მიდჰატის კონსტიტუციას არ მოაქვს **ხალხის მეფობა**—მეფობა სულთანის აბსოლიუტიზმის წინააღმდეგ.

მიდჰატის კონსტიტუცია ორივე პალატას (სენატს და პარლამენტს) ანიჭებს მხოლოდ სათათბირო ხმას. მათ კანონის დაწესების უფლება და ფუნქცია არა აქვთ“.

შემდეგში წერილის ავტორი აღიარებს ამ აზრს: რადგანაც ნაციონალისტურათ მოაზრე ვერც ერთი პირი ანუ პარტია ვერ შეერიგდება, რომ ერთი ერი გამეფებული იყვეს მეორე ერზე, ამისათვის საჭიროა:

„ერებს ჰქონდეთ „თანასწორობის ხელუხლებელი უფლება“ და გარდა ამისა, რომ „ყოველი ერი განვითარდეს და თავისი ისტორიულ-ინდივიდუალური აოსება შეინახოს, უსათუოთ საჭიროა, რომ ყოველ ერს ჰქონდეს თავისი **ავტონომია**. სრული ცენტრალიზაციისა ჩვენ წინააღმდეგი ვართ. მაშასადამე, ჩვენთვის არსებობს **სომხეთის ავტონომიის კითხვა**“...

„ჩვენი ბრძოლის ახლო მიზანია,—სომხეთის, მაკედონიისა და სხვათა ავტონომია და დემოკრატიული კონსტიტუცია მთელ ოსმალეთისათვის.

ჩვენი ბრძოლის შორეული მიზანია სოციალიზმის გამეფება სომხეთსა და მთელ ოსმალეთში“.

სხვა-და-სხვა ამბები

ჩ ვ ე ნ ს ი

სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების **საბჭომ** ამ დღეებში წარუდგინა ნამესტნიკს სოფლის მეურნეთა განზრახულ სიეზდის პროგრამა და წესდება. **საბჭო** სთხოვს ნამესტნიკს, რომ მას ნება დართოს მოიწვიოს თბილისში სოფლის მეურნეთა სიეზდი 7—15 დეკემბრამდე. სიეზდზე უმთავრესათ განხილულ იქნება შემთეგი კითხვები: ერობის შემოღება კავკასიაში, სამეურნეო კავშირების ორგანიზაცია, სოფლის მეურნეობის გასაუმჯობესებელი საშუალება და სხ.

◆ თბ. საბაღოსნო სკოლაში მისაღები ეგზამენები დასრულდა. მიიღეს 45 მოსწავლე. სულ სკოლაში ითვლება ეხლა 25 მოწაფე. სწავლა დაიწყება 1 ოქტომბრიდან.

◆ 24 სექტემბერს აკაკი წერეთელის საიუბილეო კომიტეტმა შეიმუშავა საიუბილეო დღესასწაულის საზოგადო საქმე. დაწერილებით შემუშავება მიანდო მცირე კომისიას.

◆ როგორც ოზურგეთიდან „ეკალ“-ს ატყობინებენ 22 სექტემბერს, საღამოს ცხიდან გაქცევა დაუპირებია **მირიან ჭანტურიშვილს**, მაგრამ დარაჯებს ი'ვე მოუკლავთ.

◆ „ამირან“-ს ქუთაისიდან ატყობინებენ, რომ იქ ბულვარზე დაიჭირეს ექიმ ტრიანდაფილიდის ერთი მკვლელთაგანი. ის აღმოჩნდა ოზურგეთის მაზრის სოფ.

სურების მცხოვრები ვიქტორ რამიშვილი, რომელიც წინათ მსახურებდა ბათუმის ქალაქის საავათმყოფოში. ის უბრალო მოსამსახურე არის (და არა ფერშალი, როგორც ამას იტყობინებოდა სხვა გაზეთები). ის საპატიმროში გაგზავნეს.

✦ ორშაბათს სემინარიის ახალი შენობა ვაკეზე დაათვალიერა განსაკუთრებულმა კომისიამ. კომისიამ შენობა დააფასა 425,000 მანეთათ, რაც იმავე დღეს შეატყობინეს საპატიმროთა უმთავრეს უწყებას. მოსალოდნელია ახლო მომავალში სემინარიის ახალი შენობა გახდეს ცენტრალურ საპატიმროთ.

✦ რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალი „ნაკადული“-ს მე-9 ნომერი მოზრდილთათვის და 17—18 ნომერი მცირე წლოვანთათვის. ორივე გამოცემა, ჩვეულებრივ ლაზათიანი და საინტერესოა.

ოსმალეთი.

21 სექტემბერს ბოლგარიის მთავარი ფერდინანდი მივიდა ქალ. რუშჩუკს, სადაც მას დაუხვდა მთელი სამინისტრო. 22 სექტემბერს დილით მთავარი მინისტრების თანხლებით საგანგებო მატარებელით წავიდა ქალ. ტირნოვოს.

ტირნოვოში იმავე დღეს ბოლგარია გამოცხადებულ იქნა დამოუკიდებელ სახელმწიფოთ.

სტამბოლში ამ ამბავს მმართველ წრეებში ისეთი აღელვება არ გამოუწვევია, რომ მოსალოდნელი იყოს ომი.

მართალია, ბოლგარია ბერლინის ტრაქტატით ოსმალეთისაგან დამოკიდებული სახელმწიფოა, მაგრამ ის დიდი ხანია ფაქტიურათ დამოუკიდებელი იყო. ოსმალეთის მთავრობა არ ერეოდა მის საქმეებში. თქმა არ უნდა, ახალგაზდა ოსმალნი შეგნებულათ შეეგებებიან ბოლგარიის მიერ გამომწვევ მოქმედებას და ოსმალეთის ნორჩ თავისუფლებას მომიჯნე სახელმწიფოთა სასიხარულოთ არ ჩაახრჩობენ უაზრო ომით.

ახალგაზდა ოსმალთა ოფიციალური ორგანო „იტიჰად-ვე-ტერაქი“ უძღვნის კომიტეტის ახალ გამოქვეყნებულ პროგრამას სერიოზულ წერილს. გაზეთის სიტყვით, კომიტეტი პარლამენტში სამოქმედოთ გარდაიქცევა პოლიტიკურ პარტიათ „პროგრესი და ერთობა“. კომიტეტის პროგრამა უსათუოთ გახდება მთავრობის პროგრამათ, რადგან ახალგაზდა ოსმალთ აქვთ ყველა შანსები, რომ პარლამენტში შეადგინონ უმრავლესობა. ახალგაზდა ოსმალთა პარლამენტში სამოქმედო უმახლობელესი გეგმა შემდეგია:

დაუყონებლივ განხორციელება აუცილებელ საჭირო რეფორმებისა; სამოქალაქო თავისუფლების უზრუნველ-ყოფა; სახალხო მმართველობის პრინციპის გამაგრება; გადასახადების სამართლიანი გაწესრიგება; სასოფლო მეურნეობისა და მრეწველობის აღორძინება.

— „ბერლინერ ტაგებლატ“-ის სტამბოლელ კორესპონდენტის სიტყვით სტამბოლის რეაქციონერები დიდ სამზადისში არიან. თითქმის ულემა (მღვდელი) ჯემი-ლია-მულის სახლში ყოველ დღე იკრიბებიან გამოჩენილი რეაქციონერები მურატ-ბეის მეთაურობით და თათბირობენ. ამ რეაქციონერებმა შეადგინეს უზარ-მაზარი პროვოკატორული გეგმა, არიონ ქვეყანა და დააყენონ რეაქციის გზაზე. თავიანთ ბინძური მიზნის განსახორციელებლათ რეაქციონერნი—შეთქმულები ბრმა იარაღათ იყენებენ ციხიდან გამოშვებულ სისხლის სამართლით დასჯილ დამნაშავეებს.

სპარსეთი.

ლონდონელი კორესპოდენტი თავრიზიდან „ტაიმს“-ს ატყობინებს:

„ჩრდილოეთ სპარსეთში ეხლა იწყება ზამთარი,— ჩვეულებრივათ საკმარისათ მკაცრი აზერბეიჯანში, რომელიც, ეჭვს გარეშეა, აიძულებს შაჰის ჯარს, რომელიც შესდგება ქურთებისა და შაჰსევანებისაგან, განშორდეს თავრიზს. ამ გვარათ აზერბეიჯანი გაზაფხულამდე ფაქტიურათ იქნება დამოუკიდებელი თეირანის მთავრობისაგან. ეს, რასაკვირველია, მოახდენს დიდ შთაბეჭდილებას მთელ მხარეზე, სადაც ხუთი თვის განმავლობაში შაჰის ჯარი უნაყოფოთ ებრძოდა თავრიზის რევოლიუციონერებს, რაც უსათუოთ დასცემდა შაჰის ავტორიტეტს.

თავრიზის რევოლიუციონერებმა ან, როგორც მათ უწოდებენ სპარსეთში, ნაციონალისტებმა, მტკიცეთ გადასწყვიტეს, რომ ხელი აიღონ იარაღზე და დაემორჩილონ შაჰს მხოლოთ იმ შემთხვევაში თუ ევროპის ყველა საელჩოები, და არამარტო ინგლისისა და რუსეთისა, მისცემენ პატიოსან სიტყვას, რომ მეჯლისი იქნება მოწვეული ევროპის საპარლამენტო საფუძველზე.

— თავრიზის ენჯუმენმა გამოსცა მოწოდება ფრანგულ ენაზე განათლებულ კაცობრიობისადმი. მოწოდებაში დასახელებულია ის მიზეზები, რომლის გამო სპარსეთის ხალხი უკმაყოფილოა შაჰისა და მისი კარის კაცებისა. მოწოდება გამოვიდა ამ სათაურით: „A tous les peuples civilisés et humains du monde („მთელ განათლებულ ხალხთა და კაცობრიობისადმი“). მობელეებს უწოდებენ ბიუროკრატიის ყაჩაღთა ბრბოს, ქურდებს და ცინიკებს, რომელნიც ძალათ სხედან ხალხის კისერზე. მოწოდება თავდება შემდეგი სიტყვებით:

აღვიარეთ რა სპარსეთის ასეთი მდგომარეობა ბედნიერ ხალხების წინაშე, რომელნიც სარგებლობენ ცივილიზაციითა და პროგრესით და მივმართავთ რა თხოვნით მათ რო დაუფიქრდენ ერთ წამს ნაციის ბედ-იღბალს, რომელიც თავგანწირული იბრძვის ცივილიზაციისა და პროგრესისათვის, ჩვენ მათ ვეკითხებით: ჩვენს მხარესაა თუ არა სიმართლე?“

გუგაზაული.

—:—

ჩემო გიორგო გუბაზაულო!
შენ სხვა მდინარეს ვერ შეკადარებ:
რომ დაგინახავ, გული იცინის,
დარდი მექარვის, ვხარობ, ვნეტარებ.
იმედს მიბრუნებს, წამსახალისებს
სიურმით ნატნობი ეგ ნაპირები,
შენთან მოსული შვებას ვიპოვებ
ხშირად ბედი' კან ანატირებს.
რასაც ვხედავ აქ შენს კარშემო,
სულუფელა მიცნობს და მეც მეცნობა,
მიადერსებენ, მეც ვუადერსებ,
თითქო ვეესმოდეს ურთიერთის გრძნობა.
თუმცა არა აქვთ მათ მეტყველება,
მაინც ბევრს რასმე ეს მომითხრობენ,
ოვისი უენო სუბარითა
მინადირებენ, გულს მიიპყრობენ.
აქ მაგონდება ჩემი ბავშვობის
დაუფიწარი ტკბილი დღენია,
მათი სიამე გამოუთქმელი
დღემდის უცვლელად გულს ჩამრჩენია.
მიეკარს ჩქრიალა აქეთებული
შენი მუვირადა ცელქი ტალღები,
ეს, რად არ ძალუძთ, რომ გადამრეცხონ,
რაც მაწნევია გულსა დადები.

მახსოვს იგი დრო, როს ჩემი გულიც
შენს ზვიროებსავით იყო ანკარა,
დღეს ჭმუნვის ნისლი შემოეხვია,
სინათლის სხივი არ მოეკარა.
ბედნიერი ხარ, დაუდეგარო!
რომ არც გრძნობა გაქვს და არცა გული,
თორემ აქამდე თოდად დაშრებოდი,
დღეს იქნებოდი ამოწურული.
ვერ გაიგ'ი, შენ რომ გესმოდეს,
რ ტ შენს კარშემო ამბები ხდება:
ერთი იტინის მეორის კვნესით,
ერთის სიცოცხლით მეორე კვდება.
ძმა ძმას დალატობს, ატეხებს ურცხვათ,
შვილი უტიფრათ უყურებს სჯრის მამას,
როგორდა გაძლებს საწყალი გული,
როცა უეურებ დღე მუდამ ამას?!
ბოროტი ხარობს, ეძლევა ლხინსა,
კეთილისა კი მოისმის კვნესა,
უეურებ, მაგრამ ვერაფერს ამბობ,
შენსავ ხორცს იგლეჯ, სწეველი შენს დღესა.
ტბიერი დადობს მოსვენებული,
მზა-მზარეულით განცხრომაშია,
მართალს შიმშილით ნერწყვი უშრება,
თუმცა დღე და ღამ დიდ შრომაშია.
ლიტონი სიტეკით ეველასგან ესმის:
თანასწორობა, ერთობა, ძმობა,
მაგრამ საქმით კი ეოველგანა სჩანს
ურთ-ერთის ჩაგვა, გინება, გმობა!..
ოხ, ნეტავი შენ, ტედქო მდინარეგ,
რომ ეს არ გესმის და არ გაწუხებს,
თვით მადლიერი თავის ბედისა
სხვის არ ეძიებ გულის ბასუხებს.
შეგნატრი და თან შურით კეეურებ,
ჩემ' მოკლე დღესა რომ წარმოვიდგენ,
ვინ უწეს, რამდენს წელ' და საუკუნეს
შენ ჩემს შემდეგაც ასევე იდენ?!
ვიცი, ასევე, როგორც ეხლა მე,
აქ მამა-ბაბაც ბეკრჯერ დამტკბარა,
მაგრამ ეხლა კი სადა არიან?
უკუნი ჩრდილი მათ მოეფარა!
თუ არ დღეს, ხვალე მეც ეს მომელ'ს,
აქაურობას გამოვეთხოვი,
შე'ს ტალღებს კვალად ვეღარ ვიხილავ
და სხვა მოსაწყენ ბინას ვიპოვი!..
შენ ვერ გაიგებ, თუ რა ძნელია
ხან-მოკლე დღე და მომაკვდარობა,
დღეს შენ მოძრაობ, ქვეყანას ეტრფი
და ხვალ გამოგცვლის სულ ს'ვა თობა!..

გრ. ცინტერაძე.

მაღალს წრეში.

(გაგრძელება. იხ. „ჩვენი კვალი“ № 17)

მოქმედება მეოთხე.

(სცენა წარმოადგენს მდიდრულათ მორთულ ზალას ნესტორის სახლში).

ნესტორი (დადის). რაც მინდოდა, ამისრულდა.

ოლღა (სავარძელში ზის). როგორი სიძეც ჩვენს ოჯახს შეეფერებოდა, სწორეთ იმისთანა ვიშოვნეთ.

ნესტორი (ოლღას წინ გაუჩერდება). აბა ერთი შენ თვითონ მითხარი, ჩვენს ქალაქში არის ვინმე იმისთანა? გამოჩენილი გვარისშვილი, ლამაზი, მოხდენილი, მხიარული, საცა მივა, მხიარულება თან მიაქვს.

ოლღა. მაინც ყოველისფერი რომ უხდება! ცოტა კარტი და სმა კი ჰყვარებია.

ნესტორი. ეჰ, ერთი შენც,—ბერი ხომ არ არის! ყმაწვილი კაცი იმისი ყმაწვილი კაცია, რომ კარტიც უნდა ითამაშოს და კიდეც უნდა დალიოს. არა, ჩვენი ლიზა სწორეთ ბედნიეთი ქალია.

ოლღა. ანკი რატომაც არ უნდა ყოფილიყო ბედნიერი? მე გეტყვი, მზითევი აკლდა! რას არ იშოვნი ახლანდელს დროში ფულით!

ნესტორი. ილბალიც მუშაობს, ჩემო ოლღა, ილბალიც. დავინახე თუ არა, მაშინათვე შემიყვარდაო, არ-ჩილი მეუბნებოდა.

ოლღა. ვენაცვალე ჩემს ლიზას! თუ ჩემი მშობლები თანახმანი გახდებიან, მეც თანახმა ვიქნებიო, ასეთი პასუხი მისცა თურმე არჩილს წინადადებაზე.

ნესტორი. დიახაც! მაშ ვილაც კურსისტკა ხომ არ იყო, რომ ჩვენს ნებადაერთველათ კისერზე ჩამოჰკიდებოდა? (შემოდიან გრიგოლი და მარიამი).

გრიგოლი. მომილოცავს, მომილოცავს, ენიაზ ნესტორ და ენეინა ოლღა. (ოლღას ხელზე ჰკოცნის, ნესტორს ტუჩებში. მარიამი და ოლღა ერთმანერთს ჰკოცნიან: ნესტორი მარიამს ხელზე აკოცებს. დასხდებიან).

მარიამი. მეტათ მოხარული ვართ მე და გრიგოლი. როგორიც თქვენ შეგეფერებოდათ, სწორეთ იმისთანა სიძე იშოვნეთ.

გრიგოლი. იშოვნეს რა!—მე შენ გეტყვი, ფული დააკლდებოდათ! ერთი ორასი ათასს ჩაუჩხრიალებდი, ენიაზ ნესტორ, ჰა? (იცინის. სხვები ილიმებიან).

ოლღა. ეჰ, ბედნიერი იყონ და ფული კი არ გვეშურება.

გ'იგოლი. ენეინა ოლღა, კარგი სიძის გულისათვის ფული არ დაიშურება, ვისაც აქვს.

მარიამი (ოლღას). საცა ფულია, ჩემო საყვარელო დაო, იქ ბედნიერებაც იქნება.

გრიგოლი. ნურც მაგას იტყვი, ჩემო მარიამ! ფული ბევრსა აქვს, მაგრამ ბედნიერნი კი არ არიან.

ნესტორი. იმიტომ რომ სულელები არიან. ფული იგივე ბედნიერებაა, თუ ფული გაქვს, ყოველისფერი გაქვს; თუ ფული არა გაქვს, ყოველისფერს მოკლებული ხარ.

მარიამი. კი ნუ გეწყინებათ ჩემგან, თქვენი ლიზა სამაგალითო ქალია, ანგელოზია, ანგელოზი, მაგრამ იმას რომ კარგი მზითევი არა ჰქონოდა, ამისთანა სიძესაც ვერ იშოვნიდით.

ოლლა. რა თქმა უნდა!

ნესტორი. სრული ჭეშმარიტებაა!

გრიგოლი. არა, ნურც მაგას იტყვით. მე იღბალი მრწამს. იღბალმაც უნდა იმუშაოს.

მარიამი. დაგიჟინია შენც იღბალი, იღბალი!

გრიგოლი. ფული განა სხვებს არა აქვს,—რატომ მაინცა და მაინც ამათი ქალი შეირთო არჩილმა? სჩანს, იღბალიც მუშაობს, სიყვარული,—როგორც გინდა, ისე დაარქვი.

ოლლა. როგორც დავინახე, მაშინათვე შემიყვარდა, არჩილი მეუბნებოდა.

მარიამი (ღიმილით) იმიტომ, კნეინა ოლლა, რომ კარგი ორასი ათასი ჰქონდა შენს ქალს. აბა ორასი ათასი არა ყოფილიყო!

გრიგოლი. რაკი შეუყვარდა, ე. ი. რაკი იღბალმა გასჭრა, მაინც შეირთავდა.

მარიამი. საქმეც იმაშია, რომ მაშინ არც შეუყვარდებოდა.

გრიგოლი. მაშ, შენის აზრით, უფულოთ ქალს არავინ შეიყვარებს?

მარიამი. რიგიანი, ჭკვიანი და კარგი ოჯახისა და გვარის შვილი არა, გადარეული და მუჟიკები კი რამდენიც გინდა!

ნესტორი. მართალია, ჩემო რძალო, მართალი. ქალს ფული უნდა ჰქონდეს,—ასეთია ჩემი აზრი.

გრიგოლი (ცოტა სიჩუმის შემდეგ). ახალი ამბავი იცით?

ნესტორი და **ოლლა** (ერთათ). რა მოხდა?

გრიგოლი (ღიმილით). ის მოხდა, რომ თავად მიხეილის ქალი ვილაც ექიმს გაჰყოლია.

ნესტორი. თუ კარგი ექიმია, რა უშავს,—რიგიანი შემოსავალი ექნება.

გრიგოლი. საქმე მაგაში არ არის.

ნესტორი. მაშ რაშია?

გრიგოლი. იმაში, რომ ჯვარი არ დაუწერიათ.

ნესტორი და **ოლლა.** (ერთათ) როგორ თუ ჯვარი არ დაუწერიათ?!

გრიგოლი (ღიმილით). ისე რომ არ დაუწერიათ!

ოლლა. მაშ ხასათ გაჰყოლია!

გრიგოლი. ახლა ჯვარის წერა მოდაში აღარ არისო! (იცინის).

ნესტორი. ახია იმაზე, იმ ჩემს მიხეილზე. ასე იცის კურსისტკობამ! კაცი დამსახურებული, პოლკოვნიკი, კარგი მამულისშვილი გაილანძღა და გაისვარა ახლა.

ოლლა (მარიამს). ეს ხომ თავის მოჭრაა, ცოცხლათ დამარხვა. ღმერთო! ეს რა დრო დადგა!

გრიგოლი. ხალხი გაირყვნა და გაფუჭდა. რაც დრო მიდის, ჩვენი ახალთაობა თანდათან ეცემა ზნეობრივათ.

ნესტორ. ეს რომ ჩემმა ქალმა მიქნას, ჩემის ხელით გამოვჭრი ყელს, ჩემის ხელით.

მარიამი. თქვენი ქალი ისე არასოდეს არ გადირევა, რომ ამისთანა სისაძაგლე ჩაიდინოს,—ოჯახის ბრალიც არის.

გრიგოლი. ერთი შენც! ოჯახმა რა ჰქნას, თუკი კალი ბუნებით წამხდარი და გარყვნილი დაიბადება.

ნესტორი. ოჯახი იმაშია დამნაშავე, რომ რიგიანმა ოჯახმა ქალიშვილი უმაღლეს სასწავლებელში არ უნდა გაგზავნოს. იქ ქალები გარყვნილების მეტს არაფერს არა სწავლობენ, არაფერს.

ოლლა. საწყალი მიხეილი და იმისი ცოლი რაღასა შვრებიან?

გრიგოლი. რაღას იზამენ! გაილანძღენ, თავი მოეჭრათ და ახლა რაღა უნდა ჰქნან?

ოლლა. მეტი აღარა ჰყავთ ქალი?

გრიგოლი. მერე რა, რომაჰყავთ?

ოლლა. ეს ერთი თუნდა სულ არა ჰყოლიათ, მოჰკდომიათ.

გრიგოლი. საქმეც ამაშია, რომ ამისთანა თავის მოჭრას სიკვდილი ათასწილათ სჯობია, ათასწილათ.

ნესტორი. სიკვდილი ყველასათვის გარდუვალია. მოგიკვდება ქალი, პატიოსანი სახელი მაინც ჩაჰყვება მიწაში,—და ეს ხომ მთელი ოჯახის, მთელი გვარის შერცხვენაა და თავის მოჭრა. მაღალს წრეში თუ ამისთანა რამ მოხდებოდა, მე ვერ წარმოვიდგენდი. ამას შემდეგ რაიქნება, არ ვიცი და დღემდე კი ზნეობრივი სიწმინდე და სარწმუნოება მტკიცეთა გვქონდა დაცული.

გრიგოლი. თითო მახინჯი ყველა ოჯახში შეიძლება, რომ გამოერიოს, თორემ ამგვარი გარყვნილება ჩვენს წრეში ფეხს ვერ მოიკიდებს.

ოლლა (პაუზის შემდეგ). ახლა წავიდეთ და ჩვენი ლიზა ვნახოთ,—ჩაცმული იქნება. (გადიან: სცენა რამდენიმე ხანს ცალიერია. შემდეგ შემოვა ექვსი და ხელში ვარდებით).

განი.

(შემდეგი იქნება),

წერილი მოსკოვიდან.

დღეს დილით უნივერსიტეტში, ყველა ფაკულტეტების კარიდორებში, გაკრული იყო პეტერბურგის სტუდენტობის მიერ საერთო კრებაზე გამოტანილი რეზოლიუცია, რომლის შინაარსი დაახლოვებით შემდეგია: „ჩვენ, პეტერბურგის სტუდენტობამ 13 სექტემბრის საერთო კრებაზე ვცანით შვარცის პოლიტიკის ცხოვრებაში გატარება უნივერსიტეტების, რუსეთის განათლებისა და კულტურის განმანადგურებლათ და ეს მით უმეტეს, რომ მინისტრის ცირკულიარი მიისწრაფვის მიიღოს კანონმდებლობითი გადაწყვეტა (Законодательное разрѣшеніе) უნივერსიტეტების ახალი წესდების

სახით. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ისტორიული მომენტი ავალებს სტუდენტობას—მედგარი წინააღმდეგობა გაუწიოს ყოველსავე ცდას, რომელიც კი მიმართული იქნება უმაღლეს სასწავლებლების განადგურებისაკენ. ჩვენ მოვუწოდებთ სტუდენტობას პროტესტისაკენ, რომელიც უნდა გამოიხატოს სრულიად რუსეთის სტუდენტობის გაფიცვის სახით, და ვისახავთ მიზნათ უმაღლეს თავისუფალ სკოლის, განათლებისა და კულტურის დაცვას. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ამ ჩვენს ბრძოლაში მხარს დაგვიჭერს მთელი რუსეთის საზოგადოებრივი აზრი. ჩვენ განსაკუთრებულ მნიშვნელოვანათ მიგვაჩნია ავტონომიის დასაცველათ პროფესორთა კოლლეგიების გამოსვლა და ამისთვის სალამს ვუძღვნით მათ პირველ ნაბიჯს, რომ გორიც იყო, მაგალითად, პეტერბურგისა და მოსკოვის უნივერსიტეტების პროფესორთა საბჭოების განცხადება.

ჩვენ მოვითხოვთ:

1) მეცნიერებისა და სწავლების თავისუფლებას;

2) სტუდენტთა კრებებისა და წარმომადგენლობის სრულს თავისუფლებას;

3) ქალების, რეალისტებისა და სემინარიელთა უნივერსიტეტებში დაშვებას და

4) ებრაელებისთვის პროცენტულ ნორმის მოსპობას".*)

ამ რეზოლიუციამ უნივერსიტეტი ერთი ათათ გამოაცოცხლა, მიდუნებული სულიერი წყობილება ერთბაშათ აღაფრთოვანა და აამაღლა. თუ ამდენ ხანს შვარცის პოლიტიკას მარტო უნივერსიტეტის სხვა-და-სხვა ფრაქციები და ისიც ვიწრო, მცირე-რიცხოვან ფრაქციულ კრებებზე აკრიტიკებდენ და სტუდენტების ფართო მასსა კი ინდიფერენტულათ ეკიდებოდა, ეხლა თვით სტუდენტობის ეს ფართო მასსა ჩაერია საქმეში, ინდიფერენტიზმი სრულიად გაქარწყლდა. კარიდორებში სტუდენტები ჯგუფ-ჯგუფათ დადიან და გაცხარებული კამათობენ. საქმე იქამდის მიდის, რომ ოქტომბრისტებიც ოპოზიციის გზას ადგებიან და ფიქრათ აქვთ თავისი ხმებიც შეუერთონ საერთო პროტესტს კადეტები, როგორც ყოველთვის, ეხლაც ორპიროვნათ მოქმედებენ: ხან გაფიცვის მომხრეთ აღიარებენ თავის თავს, ხან კი მის წინააღმდეგ კამათობენ. მემარცხნე ფრაქციები გაფიცვის მომხრე არიან. თამამათ შეიძლება ვთქვათ, რომ მომავალ საერთო კრებაზე, რომელიც მოწვეულ იქნება 18 სექტემბერს, გაფიცვა გავა.

სტუდენტობა ფიქრობს საჩქაროთ აირჩიოს ყველა ოპოზიციონურ ფრაქციების წარმომადგენლებისაგან შემდგარი კოალიციური საბჭო, რომელიც უხელმძღვანელებს სტუდენტობის მოძრაობას. როგორც ხმებია, ასეთ საბჭოებს ყველა უნივერსიტეტები აირჩევენ.

ივ—იძე.

*) ამ რეზოლიუციისთვის მიუციათ ხმები 2389 სტუდ. 77 წინააღმდეგ, 82 თავი შეუკავებია.

უმაღლეს სასწავლებლის მდგომარეობა.

(გაგრძელება. იხ. „ჩვენი კვალი" № 17).

აღსანიშვი და მეტის მეტათ საგულისხმოა მემარჯვენეთა როლი უმაღლეს სასწავლებლის არევ-დარევის საქმეში. ჰეშმარიტ რუსთა კავშირის მეთაურობით თბილისის ყველა ქალაქის უნივ.—ში შესდგა ჰ. რ. კ. სტუდენტების ფრაქციები და დაიწყეს მოწინავე სტუდენტებთან და ლიბერალ პროფესორებთან ბრძ-ლა. ასეთ ფრაქციების დასახასიათებლათ გავეცნოთ პეტერბურგის უნივ—ის ჰ. რ. კ. სტუდენტების ფრაქციის პროგრამას, რომელიც „Р. Знамя"-ს ერთ-ერთ ნომერში იყო გამოცხადებული. შავრაზმელ სტუდენტთა განყოფილება მთელ პროგრამაში უნივ.—ის ავტონომიის წინააღმდეგ ლაპარაკობს და, იღებს რა მხედველობაში რომ „ეხლანდელი პროფესორების უმრავლესობა პოლიტიკანობს და ხელს უშლის რუს-სტუდენტობას მეცნიერების შესწავლაში", საჭიროთ თვლის, რომ კათედრა უსათუოდ „სულიერათ რუს" პროფესორებს დაეთმოს. ამ განყოფილების წევრათ, როგორც მათი პროგრამა ამბობს, მიიღება ის რუსი სტუდენტი (თავისუფალი მსმენელი არა), რომელიც „სიცოცხლეს არ დაშურავს ჰ. რ. კ. იდეებისთვის და უნივ.—ის კედლების გარეთ სტუდენტთა მუნდირის პრესტიჟს დაიცავს". როგორც ხედავთ, ჰ. რ. კ. წევრებს პროფესორებზედაც მიაქვთ იერიში. ამ მხრივ სხვა ქალაქებს არც დორპატი ჩამორჩა. იქაც გაჩნდა ხულიგან სტუდ. ბრბო, ხოლო იმ განსხვავებით, რომ ამ შემთხვევაში ჰ. რ. კ. ადგილი კორპორანტებმა დაიკავეს. თუმცა უმთავრესი მათი ზრუნვა ქეიფი, არშიყობა და დროს ტარებაა, მაგრამ თუ პოლიტიკაში გაერიენ, მხოლოდ იმ მიზნით, რომ გაილაშქრონ მოწინავე სტუდენტობასა და პროფესორებზე. ისინი ამზადებდენ „Н. В". ფურცლებზე რექტორს და ლიბერალობას სწამებდენ. ჩვენ გვინდა მეცადინეობა, რექტორი კი კრებების ნებას იძლევაო, ამბობდენ ისინი.

რეაქციონური პრესა, ჰ. რუსთა კავშირი და მემარჯვენე სტუდენტობა ერთათ ხმა-შეწყობილათ მოქმედებდენ მოწინავე სტუდენტობისა და პროფესორების წინააღმდეგ. ისინი არ ზოგავდენ უკიდურეს და საზიზღარ საშუალებებსაც (გაიხსენეთ 1907 წლის ადესის ამბები). მათ ბანი მისცეს სახ. დუმის მემარჯვენე დეპუტატებმაც და დაიწყეს უმაღლეს სასწავლებლის წინააღმდეგ მოქმედება. 1906 წლის 11 დეკემბერს 68 მემარჯვენე დეპუტატმა სახელ. დუმაში შეკითხვა შეიტანა უმაღლეს სასწავლებლების შესახებ, რომლითაც საერო განათლების მინისტრიდან თხოულობდენ განმარტებას იმ გარემოების შესახებ, თუ რატომ პეტერბურგის და დორპატის უნივ.—ების პროფესორებმა დისციპლინარული სასამართლო არ ამოირჩიეს და არ გადასცეს ამ სასამართლოს სტუდენტობა. ერთი სიტყვით, მემარჯვენეები როგორც დუმაში, ისე გარეთ მთავრობას აჯერებდენ უნივ—ის წინააღმდეგ მოქმედებაში და მთავრობას უმოქმედობაში ამტყუნებდენ. ყოველ კუთხიდან შავ-

[illegible]ბელი მთავრობას უგზავნიდენ პეტიციებს, პატრიოტული საჩივრებს კრამოლნიკების შესახებ, რომლებსაც, [illegible]ის აზრით, უმაღლესი სასწავლებელი ბუდეთ გაეხადნათ [illegible]ადაც სწავლის ადგილი პოლიტიკას დაეკავა. მეორეენ დეპუტატებიც ყოველთვის მხარს უჭერდენ [illegible] მოითხოვნებს და ყოველ უმნიშვნელო [illegible]ნ კონფლიკტის დროს მირბოდენ [illegible]ოლიპინთან და თხოულობდენ მკაცრ ზომების მიღებას სტუდენტობის წინააღმდეგ. ამგვარი დეპუტაცია [illegible] არეულობის დროს სთხოვდა სტოლიპინს მიეღო [illegible]სტი ზომები და აღეკვეთა მეტის მეტი თავისუფლება [illegible]გათახსირება უმაღლეს სასწავლებელში. ცხადია [illegible]ერეს მემარჯვენეებს მუდმივ მონობას უწევს ბიუროკრატია. ისინი ერთად ხელ-ჩაკიდებული მოქმედობენ [illegible]ნივ—ის საქმეში და ახლა შეერთებული ძალით შეუდგენ [illegible]ნივ—ის ძირიანათ გაწმენდას „კრამოლნიკებისაგან“ სტუდენტების გამორიცხვით რომ ვერ დაკმაყოფილენ, ახლა „კრამოლნიკ“ პროფესორებიდანაც მოინდომ[illegible] [illegible]ნივ—ის გაწმენდა: დაითხოვეს და სასამართლოში მისცეს ყველა ის პროფესორები, რომელნიც [illegible]ნ—ში მომხდარ არეულობის დროს შესაფერ (სასტ[illegible]) ზომებს არ იღებდენ და რბილათ ეექცეოდენ სტუდ[illegible]ტობას. სასამართლოში მისცეს პეტერბურგის პოლ[illegible]ტეხნიკუმის დირექტორი და დეკანები. დაითხოვეს [illegible]ბო ინსტიტუტის პროფ. ლუტუგინი. კიევში პრივატ-დ[illegible]ენტი ოდოჩენკო თუმც კ[illegible]ებაზე სტუდენტებს [illegible]ურგვდა არ გაფიცულიყვენ, მაინც ვერ ენდნენ და [illegible]ითხოვეს. ოდესის რვა საუკეთესო პროფესორი სამართალში მისცეს მხოლოდ იმიტომ, რომ უნივ—ში მომხდარ არეულობის დროს სატიკი ზომები არ მიიღეს სტუდენტების წინააღმდეგ. ამათგან ორი: ყოფილი რექტორი ზანჩევსკი და პროორექტორი ვასკოვსკი სულ დაითხოვეს უნივ—დან. რექტორის მოადგილე აწ განსვენებული, ცნობილი პროფ. პეტრიაშვილი, რომელიც რექტორის მოადგილის თანამდებობას ასრულებდა, საერო განთლების მინისტრის ბრძანებით გადააყენეს და რექტორობა უკიდურეს მემარჯვნე ლევაშოვს მისცეს, მაინ, როცა ავტონომიურ უნივ—ში რექტორს თვითონ პროფესორები ირჩევენ. ამით კიდევ გადალახეს ავტონომია, გათელეს მისი დანიშნულება. შავრაზმელებმა ესეც არ იკმარეს და საერო განათლების მინისტრზე და [illegible] ამხანაგზედაც მიიტანეს იერიში, რომელსაც არ [illegible]ლიდენ ღირსეულ მებრძოლათ კრამოლნიკების წინააღმდეგ და იმ მინისტრს, რომელმაც 11 ივნისის კა[illegible]ინს ხელი მოაწერა, ლიბერალათ სთვლიდენ. ამას [illegible]ვემატკიცებს საერო განათლების მინისტრათ ნამყოფის [illegible]ფმანის დათხოვნა და მის ადგილზე შვარცის [illegible] [illegible]ომლის გამინისტრებას დიდი ხოტბითა და [illegible]ბით შეხვდა მემარჯვენეთა პრესსა და მთელი [illegible]რეაქციონერები. იმედი და მხიარულება კი[illegible]ართლდათ. შვარციც სწორეთ ისე მოიქცა, [illegible] [illegible]უკიდურეს მემარჯვენეების სურვილი და მი-

[illegible]ბა. [illegible]ბ[illegible]ბ[illegible]ბ[

ჩენი ხარჯების შევსება თვით მოსწავლეებს დააკისრეს, რისთვისაც მათ სწავლის ფული გაუორკეცეს და ახლა კი ბანკიდან შელავათს სულ უსპობენ. ამ საგნის შესახებ დეპუტატთა საკრებულომ ზედამხედველ კომიტეტის თანადასწრებით მსჯელობა იქონია; კრებამ დაადგინა გაიგზავნოს მინისტრთან საშუამდგომლოთ მაზრის თავადიზნაურთა წინამძღოლი თ-დი დ. ნიკარაძე და ბანკის მოსამსახურე ბ. გრემიევი, რომელნიც შესთხოვენ მინისტრს —რათა გიმნაზიას ბანკიდან დახმარება არ მოესპოს. ვნახოთ, რა იქნება.

✦ გარდაიცვალა ქალაქის მართებლობის ტეხნიკი ბ. ჟორდანია.

✦ გურიიდან მოსულებმა გადმომცეს—იქაც დაუწყიათ უსინდისოთ „ცოცხალი ნივთის“ შანტაჟი. ამას წინათ ს. ჩოხატაურის ახლოს მოუტაცნიათ ციცაძის ბავში, რომ მშობლებს გამოესყიდათ, მაგრამ ხალხს წაურთმევია ყმაწვილი უზნეოთათვის.

✦ ტრიანდაფილიდის ისტორიამ ძალზე ააშფოთა აქაური საზოგადოება. ბათუმიდან იწერებიან: ექიმის მკვლელნი აღმოაჩინესო.

✦ რომანტიულ ნიადაგზე 22 სექტემბერს აქ თავი მოიწამლა კარბოლის სიმჟავით გეორგაძის ქალმა.

✦ 23 სექტემბერს მედროგეებს ჩხუბის დროს ამ-ხანაგი შემოაკვდათ ბებუთით.

სერ—ჟორჟ.

ფოთის ამბები.

ჩვენი ქალაქის ჩვეულებრივი მიმდინარეობა უკვე შეიცვალა, მომავლის საშინელებამ ის დააფაცურ-აამოძრავა; ანტისანიტარულ პირობების წინააღმდეგ საბრძოლველათ მთელი თავის ძალების მობილიზაცია მოახდენინა. დიახ, ჩვენი ქალაქი ენერგიულათ შეუდგა ყოველგვარ უსუფთაობისაგან თავის გაწმენდა-გასუფთავებას. და ეს მის შემდეგ, რაც აქ ხოლერამ, ამ თავზარ დამცემმა სენმა იჩინა თავი. 11 სექტემბრიდან ქალაქის ექიმი ტერ-ნიკოგოსოვი დადის მცხოვრებლებში და სასტიკათ მოითხოვს სანიტარულ პირობების დაცვას. ჩვენი ვაჭრები შეფუცხუნდენ, იმათ ისე ხოლერა ვერ აშინებსთ, როგორც „პროტოკოლები“ და, რა ესმათ ხმა: ექიმი დადისო, თავ-ქუდ მოგლეჯილი შეუდგენ ადამის დროინდელ სიბინძურის გაწმენდას. ჯერ-ჯერობით ხოლერამ სამი ადამიანი იმსხვერპლა, ერთიც ავათ არის (14-ში გამხდარა ავათ).

— აქაური ზინგერის კომპ. განყოფილების მოსამსახურე-აგენტების უფლებაში შედიოდა კაცის მიღება. ახალმა გამგემ ეხლა ეს უფლება წაართო მათ. მოსამსახურეებს კონტიც არ დაუძრავთ, როგორც ბოროტი ენები ამბობენ, ასე იმისთვის მოქცეულან, რომ კარიერა გაიადვილონ. მახლას!.. ნუ თუ არ იციან, რომ ამით წინააღმდეგს მიაღწევენ!?

კაცია მუნჯაძე.

მუშათა ფორეს

თბილ. ტრამვაი. თბილისის ტრამვაელებს ... ნება დართული დაწესებულება გვაქს ჩვენის ეკონომიური პირობების გასაუმჯობესებლათ, სახელდობრ „... ხმერე-გამსესხებელი საზოგადოება“ და „გამსესხებელ-შემნახველი კასსა“. ეს ორი დაწესებულება ერთი—მეორისაგან განსხვავდება როგორც დასახულ მიზნით, აგრეთ შედგენილობითაც. „დამხმარე—გამსესხებელი საზოგადოების“ მიზანია ხელი შეუწყოს თავის წევრების ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებას, დაეხმაროს მიზნის მისაღწევათ ხანის სასადილოს, მაღაზიას, ყიდულობს ამა თუ იმ აუცილებელ საჭირო ნივთებს, იძენს და უფლობს უძრავ-მოძრავ ქონებას, დახმარებას უწევს იმ წევრებს, რომელთაც მოუკვდებათ ვინმე, ან მოუვათ ქონებრივი ზიანი და გახდებიან ავათ, აძლევს სესხს იმათ, ვისაც დასჭირდებათ; მართავს ყოველგვარ მოლაპარაკებას, სდებს ყოველგვარ კანონიერ ხელშეკრულება—შეთანხმებს და სხ. და სხ. დაწესებულია საწევრო გადასახადი ხელფასის მიხედვით; დაწესებულია აგეთვე სესხათ გატანილ ფულზე პროცენტების გადახდა და როგორც საწევრო გადასახადი, სესხათ გატანილ ფულზე შემოსული პროცენტები, აგეთვე საზოგადოების ყოველივე შემოსავალი შეადგენს საზოგადო საკუთრებას. არ მიიღებიან საზოგადოების წევრებათ ისინი, ვინც ასრულებენ რაიმე ადმინისტრაციულ თანამდებობას.

„გამსესხებელ-შემნახველი კასის“ მიზანი მარტო ისაა, რაც შეიძლება მეტი პროცენტები მოაგებინოს თავის წევრების მიერ გადახდილ ფულს და შეინახოს, აქ ყველასათვის შესასვლელათ კარები ფართოთაა გაღებული, საწევრო გადასახადი ყველას თავის სასარგებლოთ შეაქვთ და სესხათ გატანილ ფულზე აღებული პროცენტებიც იმათ მიაქვთ, ვისაც მეტი ფული დუბანდებია ამ „კასაში“. ისინი კი, ვინც გაჭირვებაში იმყოფებიან, ან ჩავარდებიან გაჭირვებაში, სესხს ბევრს გაიტანენ და პროცენტებსაც იმათ სასარგებლოთ გადიხდიან, რომელნიც ფულის მოსაგებად ეწერებიან „გამსესხებელ შემნახველ კასაში“ და არა იმ მიზნით, რომ გაჭირვებულებს დეხმარენ.

ავის თავათ ცხადია მუშების ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებას დიდ დახმარებას აღმოუჩენს პირველი, ე. ი. „დამხმარე—გამსესხებელი საზოგადოება“, რომელიც ყველა წევრების ტკივილებს ერთ ნაირათ გაჰკურნავს, ყველას ჭრილობებს ერთ ნაირათ დადებს მალამოთ, ყველა წევრების აზრებ— ... ერთ კალაპოტში მოაქცევს, ერთ გზაზე სიარულს— ... ზოგადო ცხოვრებას შეაჩვევს, პროცენტების მოგ... ნაცვლათ ერთი მეორის დახმარების სურვილებს ... რავს ყველას. აი რატომ უნდა დაეთმოს ჩვენ მ... შორის პირველი ადგილი „დამხმარე-გამსესხებელ

[illegible]ადოებას. მერე როგორ უყურებენ ზოგიერთი „შორს[illegible]
[illegible]ვრეტი“ შეგნებული“ მუშები ამ „საზოგადოებას“?
[illegible]ული ერთია, დღეს თუ არა ხვალ მაინც დაკეტავს მთა-
[illegible]ვრობა [illegible] ტყვილს უბრალოთ რაღაზე უნდა დავხარ-
[illegible]ოთ [illegible]ერგია, [illegible] ან არა [illegible] ჩვენ სად შევიძლებთ ხელ-
[illegible] [illegible]ა გავუწიოთ სასადილ[illegible]—მაღაზიებს, უკე-
[illegible] „გამსესხებელ—შემნახველ კასაში“ ჩავეწეროთ,
[illegible] [illegible] იმდენი საქმეებია გასაკეთებელი, რომ ვერ შე-
[illegible]ოთ გაკეთება და არც დახურავს მთავრობაო“.
[illegible] „შორსმკვრეტი შეგნებული“ მუშები ასე
[illegible]ნულთ [illegible]ულობენ „დამხმარე-გამსესხებელ საზოგა-
[illegible]ების“ და „გამსესხებელ-შემნახველ კასის“ შესახებ.
[illegible]ელია, საქმის შესახებ ასეთ მსჯელობას არავი-
[illegible] მნიშვნელობა არა აქვს გარდა იმისა, რომ ერთის
[illegible]ით შიშმა უფრო დაიმონავა მათი გონება-გამბედაო-
[illegible], მეორე მხრით კი სიზარმაცემ, და ჰგონიათ საქმეს
[illegible] [illegible]ენ მაგიერათ ვინმე უნდა აკეთებდეს, ჰგონიათ, რომ
[illegible] [illegible] უფლებებს, რომელიც მოგვცემს გარანტიას ამა თუ
[illegible] [illegible] საზოგადოების არსებობისას, თავის თავათ ვინმე მო-
[illegible]ანეტებს. ამ „შორსმკვრეტ შეგნებულ“ მუშებს სხვე-
[illegible]ც უყურებენ და ისინიც არ ეწერებიან წევრებათ.
[illegible] კი ესენი (მიუთითებენ ხოლმე იმათზე, რომლებიც,
[illegible] შეიძლება ასე ვსთქვათ „კრიტიკულათ უყურებენ“
[illegible]ხსენებულ პირველ დაწესებულებას) არ ეწერებიან,
[illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible]“?. იმედია დანარჩენი მუ-
[illegible]ბიც, რომელთაც დღევანდელმა ნახევრათ რეაქციო-
[illegible]ურმა ბურჟუაზიულმა ხანამ დაასვა მათი ცხოვრების
[illegible]ირობებს თავისი ბეჭედი, არ მიბაძვენ ტრამვაიელ
[illegible]ზოგიერთა „შორსმკვრეტელ შეგნებულ“ მუშებს, არ
[illegible]ეუწყენენ მათსავით გულხელდაკრეფილი ყურება ისეთ
[illegible]ეწესებულებებს, რომლების არსებობის შემწეობითაც
[illegible]ეგვიძლიან საზოგადოთ მუშების აუტანელ ეკონომიურ
[illegible]ირობების ცოტათი მაინც გაუმჯობესობა, და ისარ-
[illegible]ებლებენ ცოტათი მაინც ამა თუ იმ ლეგალურ დაწესე-
[illegible]ულებით.

ტრამვაიელი.

**ბათუმი. ბერძნის ანუ „სიდერიდ[illegible]ს და არკანტი-
[illegible]ის“ პორტის სომეხი მუშები.** საზოგადოთ სომხების იმ-
[illegible]მიგრაციას მიჰყვენენ ზემო-დასახელებულ ფირმის სომეხი
[illegible]ეშებიც და მიდიან ოსმალეთში. ჩვენ სასიამოვნოთ
[illegible]ეგვაჩნია ეს მოვლენა, სხვათა შორის, იმიტომ რომ
[illegible]ათ ადგილს დაიპერს უმუშევრები და ამით ბათუმის
[illegible]უმუშევართა რიცხვს მოაკლდება რამდენიმე უმუშევა-
[illegible]რი. მხოლოთ საქმე იმაშია, რომ წამსვლელი სომეხი მუ-
[illegible]ები ყიდიან მუშაობის უფლებას და ტოვებენ თავიანთ
[illegible]ლაგას იმას კი არა, ვისაც რიგით ეკუთვნის მუშაობა,
[illegible]არამედ იმას, ვინც უფრო ბევრ ფულს მისცემს მათ,
[illegible]რაც, რასაკვირველია, სხვა რომ არ ვთქვათ, დიდ უსა-
[illegible]მართლობას შეადგენს. ასეთ გასაკიცხავ საქციელს ჩა-
[illegible]დიან თვით დაშნაკცაკანის და გენჩაკის პარტიის წევ-
[illegible]რები. ჩვენ შეგვიძლია დავასახელოთ ის პირები, რომ
[illegible]ლებმაც ზემოხსენებული საქციელი ჩაიდინეს. დასახე-
[illegible]ლებულ პარტიებს სოციალისტურ პარტიებათ მოაქვთ
[illegible]თავი, მუშების ინტერესების დამცველებათ. მათი წევ-
[illegible]რები კი აცხადებენ კერძო საკუთრებათ თვით სამუშა-
[illegible]ოზე უფლებას, რომელიც ყველა მუშებს საზოგადო
[illegible]კუთვნილებათ მიაჩნიათ.

ამ ადამიანებმა კარგათ იციან, რომ კაპეიკიც არ
გადაუხთიათ სამუშაოს მიღებაში და რაც უფასოთ
მიუღიათ, თუმც ეხლა ეს მათთვის საჭირო არ არის,
ყიდიან 150 მანეთათ საშუალოთ. ამნაირათ ორმაგ ტყვეს
აძრობენ ისედაც დაბეჩავებულ სომხის მუშებს. გარდა
ამისა ხდება ასეთი მაგალითებიც: მუშა მის მაგივრათ
სტოვებს სამუშაოზე სხვა მუშას იმ პირობით, რომ
დღიური ქირა მეორემ პირველს შუაზე უნდა გაუყოს.

ასეთი ამბები ხდება უფრო ხშირათ სომხებში და
არავითარ ყურადღებას არ აქცევს ამას ის ორგანიზა-
ციები, რომელთა წევრნი ეს მუშები არიან.

ოზურ—გელი.

ღია წერილი ქართველ საზოგადოებას.

დღეს, როდესაც ოსმალეთში ცოტათ თუ ბევრათ,
არსებობს თავისუფლათ წერის საშუალება და როდესაც
პოლიტიკურ თავისუფლების გამო იქ მცხოვრები და-
ჩაგრულ-დაბეჩავებული ერები მოწოდებულნი ხდებიან
თანამედროვე კულტურულ ცხოვრებისათვის, ჩვენ მო-
ვალენი ვართ შეძლებისდა გვარათ დახმარება აღმოვუ-
ჩინოთ იქაურ ჩვენს მოძმეებს, რათა იგინი დამარცხე-
ბულნი არ დარჩნენ ახალ ასპარეზზე ბრძოლაში. ჩვენის
მცირე აზრით, საჭიროა ქართველმა საზოგადოებამ ჯე-
როვანი ყურადღება მიაქციოს ოსმალეთში მცხოვრებ იმ
ქართველ მაჰმადიანებს, რომელნიც არც ეროვნულათ
და არც კულტურულათ არ არიან იმ დონეზე, რომ ად-
ვილათ შეიძლონ ცხოვრების ახალ პირობებში ის ადგი-
ლი დაიჭირონ, რაც მათ კანონიერათ ეკუთვნით მათში
სათანადო თვითცნობიერების შესატანათ, რა თქმა უნ-
და, საჭიროა ფული, ენერგია და საქმის სიყვარული.
მაგრამ ყველა ესენი აღმოგვიჩნდება, თუ კი გვექნება
საქმის სერიოზულ ხასიათის შეგნება და მტკიცე სურ-
ვილი შევასრულოთ ჩვენი მოვალეობა. ქართველ საზო-
გადოებას კარგათ უნდა ახსოვდეს, რომ ეს საქმე დახა-
ნებას ვერ იშვნევს. ზემოხსენებულმა ქართველ-მაჰმადია-
ნებმა თუ აბსოლიუტიზმის დროს კიდევ შეირჩინეს თა-
ვისი ვინაობა და ეროვნულობა, ჯერ კიდევ არ გადაგვა-

რებულან სავსებით, ახლა, თავისუფლების დროს ადვილათ შეიძლება მსხვერპლი გახდენ ახალგაზდა ოსმალების თავაშვებულ ნაციონალიზმისა და ახალგაზდა ოსმალთა მისწრაფებაც ხომ ეს არის. ჩვენის აზრით, აქედანვე დაუყოვნებლივ საჭიროა სტამბოლში ქართულ ენაზე გაზეთის გამოცემა და იქაურ ქართველებში წერა-კითხვის, რაც შეიძლება მეტი, გავრცელება. ამ საქმის თაოსნობა, რა თქმა უნდა, ყველაზე მეტათ უპრიანნეა ქართ. შორის წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისათვის.

მე რადგან ვიცი ქართული, სომხური თათრული და რუსული ენები, სურვილს ვუცხადებ იმ საზოგადოებას და აგრეთვე კერძო პირთ, ვისაც კი გულზე ეკიდება აღნიშნული საკითხი, სურვილს ვუცხადებ შეძლებისა და გვარათ დახმარება აღმოვუჩინო გაზეთის გამოცემის საქმეში.

დასასრულ, კვლავ გავიმეორებ, რომ აქ დახანება არ გამოდგება, საქმეს მიტანება უნდა, თორემ ბოლოს გვიანლა იქნება. „წამხდარსა საქმეს რას არგებს, მერმეღა თითზე კბენანი!“

Artemius.

მალშინის მაზრა.

(ვიტა. გუბ.)

აქ გადმოსახლებული ქართველები უკიდურეს გაჭირვებაში ვიმყოფებით. არ არის ჩვენთვის არც ნივთიერი საზრდო და არც გონებრივი. მოწყვეტილი სამშობლო მხარეს ფიზიკურათ მოწყვეტილი, ვართ გონებრივათაც.

ჩვენ გვეძლევა თვეში პურის ფულათ 6 მან. 50 კაპ., მაგრამ მას დროზე ვისიც ჯერ არს არ იძლევა. ყოველთვის მეორე თვის 15-20-დე გვიჭერს, და ჩვენ კი ამ ხნის განმავლობაში სასტიკ სიღატაკეს განვიცდით. ჩვენდა სამწუხაროთ, არ გვყავს კაცი, რომ გუბერნატორთან თხოვნა დავაწერინოთ.

როგორც გაზეთი „ვიატ. რეჩი“ გადმოგვცემს, ყველა მაზრებში გადმოსახლებულებს მიუღიათ საზაფხულო ტანისამოსის ფული, მაგრამ ჩვენთან ჯერ მის შესახებ ბაიბურიც არ ისმის. როდემდის იქნება აგრე, არავინ უწყის.

მივმართავთ ქართველ საზოგადოებას და ვსთხოვთ მოგვაწოდონ ქართული წიგნები და გაზეთები ვიატკის გუბერნიაში გადმოსახლებულ ქართველებს.

წელს ვიატკის გუბერნიაში გამოგზანილებს დაუნიშნეს მეთვალყურე, თორემ მეთვალყურეს აგვრია ხუთ-ხუთი კაცი, რომ არსად კიბარონ.

ჩვენი ადრესი: г. **Малинъ** (Вятск. губ.) с. Ципія. Копія Габададзе გასახლებულთათვის.

რედაქტორ-გამომცემელი **იოსებ ბარამიძე.**

განცხადებანი.

რედაქციისაგან:

ვინც **„ჩვენ კვალს“**
წასული თვეების ნომრებით, ან მხოლოთ პირველი სექტემბრიდან გამოიწერს წლის ბოლომდე, მიიღებს
პრემიათ **პოპულიარულ სამეცნიერო სტატიებისა და მოთხრობათა**
კრებულს
რომელიც დაახლოებით შეიცავს 200 გვერდს.

ჩვენი კვალი

წასული ნომრებით წლის ბოლომდე ღირს — —	**3** მან.
სექტემბრიდან — — — — — — — —	**2** „

ხელის მოწერა მიიღება თბილისში—რედაქციაში; ქუთაისში—კანტორა „იმერეთში“. ქუთაისურ ხელის მომწერთ გაზეთი პრემიით დაურიგდება კანტორა „იმერეთში“

Тифлисъ. Редакція «Чвени Квали». Ванкская ул. № 12. Рахиль Каландадзе.

ახალი გამოცემანი
იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოებისა.

დედა-ენა, ნაწილი მეორე, ოცდა- მესამე გამოცემა წერა-კითხვის საზოვადოებისა. ჩამატებული აქვს ექვსი გვერდი ახალის საწერი დედნისა და თორმეტი, ნოტებზე გადაღებული, სახალხო სიმღერა: კახური, ქართლული, იმერული, გურული, მეგრული, სვანური. ფასი იგივეა.

დედა-ენა, ნაწილი პირველი, გამოცემა ოცდა-მეოთხე, დაბეჭდილია ახლად ჩამოსხმული ასოებით, იპყრობს სამს გვერდს სხვილის ხელის დედნისას. ფასი იგივეა.

რუსსკოე სლოვო, ნაწილი პირველი, მეთექვსმეტე გამოცემა, იპყრობს ახალს პეტერბურგში დამზადებულს ნიმუშებს რუსულის პირდაპირის წერისას. ფასი იგივეა.

რვეულები, პირდაპირი რუსული წერისა, საუკეთესო ქაღალდზე დაბეჭდილი, იყიდება წერა-კითხვის საზოგადოებაში და გრიქუროვთან. ფასი სამი კაპეიკი.

ელექტრო-მბეჭდავი ამხ. **„სოტრაპანი“**, მადათოვის კუნძული, სახლი მუხრანსკისა № 1.